პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის. თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 16 აგვისტო, 1949 წ. № 162 (8465). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

პარტიული დავალება — მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).

ვ. გელაშვილი, ს. ყურაშვილი — **ლენინგორი** (მე-2 გვერდი).

სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის ლოკომობილების აგრეგატის სახელწოდების მოსაპოვებლად (მე-2 გვერდი).

მზადება ახალი სასწავლო წლისათვის (მე-3 გვერდი).

ლიუ ნინ-ი — **მუშათა კლასი ჩინელი ხალხის მეთაურია** (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

პარტიული დავალება

პირველადი პარტიული ორგანიზაციის მთელი მუშაობის ხარისხი დიდად არის დამოკიდებული თვითეული კომუნისტის პოლიტიკურ აქტივობაზე, მის მონაწილეობაზე სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაში. რამდენად სრულყოფილად წარიმართება პარტიული მასების აქტივობა შინაპარტიული საქმიანობის მრავალფეროვანი საკითხების გადასაწყვეტად, იმდენად ნაყოფიერი და შინაარსიანი იქნება პარტიული ორგანიზაციის მოღვაწეობა.

პარტიული მასების აქტივობის უზრუნველსაყოფად ჩვენს პარტიას აქვს მრავალი ნაკადი მეთოდი, რომელთა შორის თვალსაჩინო როლს პარტიული დავალება ასრულებს. პარტიული დავალება საუკეთესო საშუალებაა კომუნისტის ბოლშევიკური წრთობისათვის. იგი კომუნისტს აძლევს დამოუკიდებელი აზროვნებისა და პრაქტიკული საქმიანობის ჩვევებს, უნერგავს მას დისციპლინას და მინდობილი საქმისადმი სიყვარულს.

აქედან გასაგებია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს თვითეული კომუნისტისათვის პარტიული დავალების მოხერხებულად შერჩევისა და განაწილების საქმეს.

პარტიული ორგანიზაცია, მისი ხელმძღვანელი უნდა ცდილობდეს, რომ არ დატოვოს არც ერთი კომუნისტი პარტიული დავალების გარეშე და ამასთან დავალების განაწილებისას მხედველობაში მიიღოს კომუნისტის სურვილი, მისი მომზადება და პრაქტიკული გამოცდილება. მაგრამ კომუნისტისათვის ინდივიდუალური დავალების შერჩევა და მიცემა მხოლოდ საქმის დასაწყისია. მთავარია პარტიული ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელის მხრივ სისტემატური კონტროლი და დროული დახმარება კომუნისტებისადმი, რათა მათ წარმატებით შეასრულონ მიცემული დავალება. იქ, სადაც არ ამოწმებენ და არ ეხმარებიან კომუნისტებს პარტიული დავალების შესრულებაში, მნიშვნელობას უკარგავენ ამ ღონისძიებას, აფუნებენ კომუნისტების აქტივობას, აჩვევენ მათ უდისციპლინობას.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ საწარმოსა და საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციაში ფიქრობენ თითქოს ძნელი იყოს პარტიული დავალების შერჩევა ყველა კომუნისტისათვის, ამასთან ისინი თავიანთ მუშაობას ამ საქმეში „სუფთა“ პარტიული დავალების განაწილებით საზღვრავენ. მათ გონიათ, რომ სამეურნეო ხასიათის დავალება დავალებად არ ჩაითვლება. ეს სწორი არ არის. თუ კომუნისტი პარტიის დავალებით სახელმწიფოსათვის, ხალხისათვის საჭირო საქმეს აკეთებს, მაშასადამე ის ასრულებს პარტიულ დავალებას. არ უნდა დავიიწყოთ ამხანაგ სტალინის მითითება, რომელიც გვასწავლის: „პრაქტიკულად პოლიტიკა და მეურნეობა განუყრელი არიან, ისინი არსებობენ ერთად და მოქმედებენ ერთად, და ის, ვინც ფიქრობს ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში ჩამოაშოროს მეურნეობა პოლიტიკას, გააძლიეროს სამეურნეო მუშაობა პოლიტიკური მუშაობის დამცირების ფასად ან, პირიქით, გააძლიეროს პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო მუშაობის დამცირების ფასად, იგი აუცილებლად ჩიხში ექცევა“.

ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა და საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა სათანადოდ აფასებს პარტიული დავალების მნიშვნელობას შინაპარტიული მუშაობის გაძლიერების საქმეში და სასურველ შედეგსაც აღწევს. თბილისის საორთქლმავლო დეპოს პარტიულ ორგანიზაციაში არ არის დარჩენილი არც ერთი კომუნისტი შესაფერი პარტიული დავალების გარეშე. დეპოს პარტიული ბიურო და საამქროთა პარტიული ორგანიზაციები სისტემატურად ამოწმებენ და ეხმარებიან კომუნისტებს პარტიული დავალების შესრულებაში, ცალკე ხაკლოვანებებს ამ საკითხში პარტიული კრების მსჯელობის საგნად ხდიან. კიროვის სახელობის ბათუმის ტყავის ქარხნის პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პარტიული დავალების საქმიანად განაწილებისა და მისი შესრულების მიმდინარეობას. იმ კომუნისტებთან, რომლებსაც პარტიული მუშაობის საქმეთა გამოცდილება არ გააჩნიათ, საამქროთა პარტიული ორგანიზაციებისა და ქარხნის პარტიული ბიუროს მდივნები ატარებენ საუბრებსა და კონსულტაციებს პარტიული დავალების მნიშვნელობის შესახებ. პარტიულ დავალებებს კარგად ეკენებენ კომუნისტთა აქტივობის ამაღლებისათვის ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის, სტალინირის რაონის სოფელ გოიაანთკარის საკოლმეურნეო, სამტრედიის რაიონის სოფელ ჭოგნარის „პირველი მაისის“ სახელობის საკოლმეურნეო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტისა და რესპუბლიკის მრავალი სხვა პარტიული ორგანიზაცია.

მაგრამ ყველგან ასე როდი აფასებენ პარტიული დავალების დიდ მნიშვნელობას. თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მოსამზადებელი საამქროს პირველი ცვლის პარტიულ ორგანიზაციას თითქოს ორი წლის მანძილზე ერთხელაც არ განუხილავს საკითხი პარტიული დავალების შესახებ. ამ ორგანიზაციაში კომუნისტების მნიშვნელოვან ნაწილს პარტიული დავალება არ აქვს. პარტიული დავალების განაწილებისა და მისი შესრულების შემოწმებისათვის ცუდად მუშაობს აგრეთვე რკინიგზის ნავთლუღის კვანძის სალიანდაგო-სამანქანო განყოფილების პარტიული ორგანიზაცია. მსგავსი მაგალითები სხვაგანაც არის.

ახლანდელ ვითარებაში, როცა უმაგალითოდაა გაზრდილი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული როლი, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თვითეული კომუნისტის შეგნებულობასა და მის საქმიან მონაწილეობას მთელი შინაპარტიული მუშაობის უკეთ მოწყობაში. პარტიული დავალების დანიშნულება კი ის არის, რომ აამაღლოს კომუნისტის შეგნებულობა, უზრუნველყოს მისი აქტიური მონაწილეობა პარტიული ცხოვრების ყველა საკითხის გადაჭრაში. როცა ამას კარგად გაითვალისწინებს პარტიული ორგანიზაციის თვითეული ხელმძღვანელი, პარტიული დავალების საქმესაც სათანადო ყურადღებას დაუთმობს.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 2 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად **ყურძნის** უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა კოლმეურნეობებმა შეასრულეს ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის საავალდებულო ჩაბარებისა და კონტრაქტაციის, 1948 წელს მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გეგმები და მთლიანად უზრუნველყვეს 1949 წლის საგაზაფხულო თესვა ყველა კულტურის თესლით, **დაჯილდოებულ იქნან:**

ლენინის ორდენით

1. **აბაზოვა** მამიაკ სარქისის ასული — კაჩრეთის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 84,3 ცენტნერი ყურძენი.

2. **ავაქოვა** ლუსიკ გრიგოლის ასული — კაჩრეთის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 82,9 ცენტნერი ყურძენი.

3. **ადუაშვილი** ივანე მიხეილის-ძე — კაჩრეთის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76 ცენტნერი ყურძენი.

4. **ადუაშვილი** რომან ნიკოლოზის-ძე — კაჩრეთის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 80 ცენტნერი ყურძენი.

5. **ალავიძე** ვიქტორ გიორგის-ძე — ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „სიხათლის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76 ცენტნერი ყურძენი.

6. **ალავიძე** მელიტონ იოსების-ძე — ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „სიხათლის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 81 ცენტნერი ყურძენი.

7. **ალადაშვილი** ბაბულია გიორგის ასული — წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ მერგოლური, რომელმაც 5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 85,9 ცენტნერი ყურძენი.

8. **ალადაშვილი** თამარ ივანეს ასული — წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის“ მერგოლური, რომელმაც 5,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 87,5 ცენტნერი ყურძენი.

9. **ამირაშვილი** ნინია გასპარის-ძე — გურჯაანის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78,3 ცენტნერი ყურძენი.

10. **არაბიძე** ვალერიან ალექსანდრეს-ძე — ზესტაფონის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,2 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

11. **არაქელოვი** არმენაკ ეგორის-ძე — გურჯაანის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76 ცენტნერი ყურძენი.

12. **არჯევანიძე** ამბაკო ნიკოლოზის-ძე — ცაგერის რაიონის ოყურეშის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობა „წინსვლის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 81,3 ცენტნერი ყურძენი.

13. **არშილავა** ვლადიმერ ისაის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „წინსვლის“ ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 81,6 ცენტნერი ყურძენი.

14. **ბაკაშვილი** ზაქარია იასონის-ძე — გურჯაანის რაიონის გურჯაანის სასოფლო საბჭოს კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 97,6 ცენტნერი ყურძენი.

15. **ბარბაქაძე** ლავრენტი ალექსანდრეს-ძე — პარტიის ორჯონიკიძის რაიონული კომიტეტის მდივანი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 32,7 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

16. **ბარსონიძე** თამარ ილიას ასული — ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობა „სიხათლის“ მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 77,4 ცენტნერი ყურძენი.

17. **ბასილაშვილი** ნიკოლოზ აბრამის-ძე — გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი მარანის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 89,7 ცენტნერი ყურძენი.

18. **ბახბახაშვილი** ვასილ აბრამის-ძე — თელავის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 101 ცენტნერი ყურძენი.

19. **ბერიძე** პელულ მემედის-ძე — ქედის რაიონის მე-17 პარტყრილების სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 92,6 ცენტნერი ყურძენი.

20. **ბერიკაშვილი** ზაქარია დიმიტრის-ძე — გურჯაანის რაიონის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78 ცენტნერი ყურძენი.

21. **ბერიშვილი** ლავრენტი ალექსის-ძე — ონის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 92,5 ცენტნერი ყურძენი.

22. **ბიბიკაძე** იულონ ლუკას-ძე — ვანის რაიონის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 8,7 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 98,5 ცენტნერი ყურძენი.

23. **ბლუიშვილი** ნიკოლოზ გიორგის-ძე — თელავის რაიონის კოლმეურნეობა „მოწინავის“ მერგოლური, რომელმაც 3,5 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75 ცენტნერი ყურძენი.

24. **ბოჭოიძე** კალისტრატე სევასტის-ძე — ზესტაფონის რაიონის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 4 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 57,2 ცენტნერი ყურძენი.

25. **ბრეგვაძე** იოსებ დავითის-ძე — ვანის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76 ცენტნერი ყურძენი.

26. **გალუსტოვა** ენინა გიორგის ასული — კაჩრეთის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 91,2 ცენტნერი ყურძენი.

27. **გაჩაკუდაშვილი** ვლადიმერ ამბაკოს-ძე — მაიაკოვსკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,2 ცენტნერი ყურძენი.

28. **გელოვანი** აკაკი იორამის-ძე — ამბროლაურის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 80,3 ცენტნერი ყურძენი.

29. **გეწაძე** ლეონიდე ერმალოზის-ძე — ზესტაფონის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 79 ცენტნერი ყურძენი.

30. **გოგაძე** ისაკი პავლეს-ძე — ვანის რაიონის კოლმეურნეობის „გზა სოციალიზმისაკენ“ მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 75,5 ცენტნერი ყურძენი.

31. **გოგებაშვილი** მიხეილ პორფილეს-ძე — ცაგერის რაიონის კოლმეურნეობა „განთიადის“ მერგოლური, რომელმაც 4 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 77,5 ცენტნერი ყურძენი.

32. **გოგოლიძე** საშურა ისმაილის-ძე — ზესტაფონის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 69,5 ცენტნერი ყურძენი.

33. **გურგენაშვილი** ელენე მიხეილის ასული — წითელწყაროს რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78 ცენტნერი ყურძენი.

34. **გუმბერიძე** დავით იოსების-ძე — ზესტაფონის რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,1 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 60,7 ცენტნერი ყურძენი.

35. **დავითაძე** შუქრი სულეიმანის-ძე — ხულოს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 82,1 ცენტნერი ყურძენი.

36. **დარახველიძე** იოველ დავითის-ძე — ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი ნაბიჯის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 93 ცენტნერი ყურძენი.

37. **დარახველიძე** სიმონ მიხეილის-ძე — ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობა „პირველი ნაბიჯის“ ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 78,3 ცენტნერი ყურძენი.

38. **დათაშვილი** ვლადიმერ ბეჟანის-ძე — სტალინირის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი სარწყავი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 133 ცენტნერი ყურძენი.

39. **დვალი** პარმენ მიხეილის-ძე — ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობა „სიხათლის“ ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 85,7 ცენტნერი ყურძენი.

40. **დეკანოსიძე** ვარლამ სიმონის-ძე — ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეობის „ლენინის ხაზით“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 60 ცენტნერი ყურძენი.

41. **ჯაყელი** მემედ სალიხის-ძე — ქედის რაიონის კოლმეურნეობა „საერთო შრომის“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76 ცენტნერი ყურძენი.

42. **ჯამალაშვილი** მარიამ გიორგის ასული — წითელწყაროს რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 79,1 ცენტნერი ყურძენი.

43. **ჯანელიძე** ვასილ ვლადიმერის-ძე — ვანის რაიონის 25 თებერვლის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 77,4 ცენტნერი ყურძენი.

44. **ჯაფარიძე** ივანე სერაფიონის-ძე — ონის რაიონის ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 81,7 ცენტნერი ყურძენი.

45. **ჯაშიაშვილი** ნიკოლოზ იოსების-ძე — თელავის რაიონის კომინტერნის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 6 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 80 ცენტნერი ყურძენი.

46. **ჯოხაძე** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე — გურჯაანის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების აგრონომი, რომელმაც თავისი მონაწილეობით უზრუნველყო მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 19 პროცენტის გადაჭარბებით შესრულება.

47. **ჯუღელი** ნიკოლოზ სამსონის-ძე — მაიაკოვსკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 76,3 ცენტნერი ყურძენი.

48. **ძებისაშვილი** ილია ნიკოლოზის-ძე — გურჯაანის რაიონის ვორონოვის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 80,1 ცენტნერი ყურძენი.

49. **ძნელაძე** დურსუნ ალის-ძე — ქედის რაიონის კოლმეურნეობის „გზა კომუნიზმისაკენ“ მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 83 ცენტნერი ყურძენი.

50. **დუგლაძე** ვლადიმერ გერასიმეს-ძე — ზესტაფონის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10,2 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 64,6 ცენტნერი ყურძენი.

(გაგრძელება იქნება)

ი. ბ. სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ა. გ. კერკი

15 აგვისტოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ა. გ. კერკი.

მიღებას დაესწრო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი. (საკდესი).

შახტების ახალი ელექტრომოწყობილობა

ლენინგრადი, (საკდესი). ქარხანა ელექტროაპარატში შემუშავებულია ახალი ტიპის, აფეთქების მხრივ უსაშიშრო, განმანაწილებელი მოწყობილობა მიწისქვეშა საშახტე მექანიზმებისათვის ელექტროენერგიის მისაწოდებლად. სიმძლავრით ახალი აგრეგატი ერთიორად აღემატება წინანდელ ნიმუშებს.

საამქროები, რომლებიც ამ დაკვეთას ასრულებენ, ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში, რათა მეშახტის დღისათვის ვადამდე გამოუშვან ახალი აპარატურის პირველი სერია.

მეშახტეთა მომავალ დღესასწაულს ქარხანა აღნიშნავს დონბასის და ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების შახტებისათვის მაღალეფექტიანი განმანაწილებელი მოწყობილობის, ზეთიანი გამომრთველების და სხვა ელექტრომოწყობილობის მიწოდების გაძლიერებით. დღესასწაულისათვის მეშახტეებს საწარმოს რამდენიმე ვაგონი პროდუქცია გაეგზავნებათ.

16 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში (პლეხანოვის პროსპექტი № 123) შედგება

ქ. თბილისის პროფკავშირული აქტივის კრება

დღის წესრიგი:

პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესის შედეგების შესახებ (მომხსენებელი — პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ი. დ. კოჭლამაზაშვილი).

შესვლა მოსაწვევი ბილეთებით.

სოციალისტური შრომის გმირები



შ. დ. ჟღენტი

მაიაკოვსკის რაიონის დიმის სასოფლო საბჭოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 101,5 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.

პ. ი. გოლგოლაძე

მაიაკოვსკის რაიონის მე-17 პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 118,8 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.



ნ. ბ. გველესიანი

ზესტაფონის რაიონის ხოზე დიასის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა 8 ჰექტარი შამპანური ჯიშების ვენახის თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერი ყურძნის მოყვანისათვის.



ბ. ო. მაღლაკელიძე

ვანის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა თავისი მუშაობით მთლიანად რაიონში ყურძნის მოსავლის გეგმის 23,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულებისა უზრუნველყოფისათვის.

პარტიული ცხოვრება

მაღაროს პარტიული ორგანიზაცია და ბრძოლა წარმოების მაღალი კულტურისათვის

სანგრევები და ლავები დახერგილი იყო. ძთავარ საზიდებში ტალახი და ფუჭი ქანი აფერხებდა მუშაობას. ზოგ უბანში მოუგვარებელი იყო გამაგრება და განათება. მექანიზმებსაც არ უვლიდნენ სათანადოდ, არ ასუფთავებდნენ, დროულად არ ზეთავდნენ ელავლებს, დაზგებს, ელძრავებს, ძტვირთავ ძანქანებს. ყველაფერი ეს გავლენას ახდენდა მუშათა შრომის ნაყოფიერებაზე, აუარესებდა პროდუქციის ხარისხს, აძვირებდა მადნის თვითღირებულებას. წარმოებაში უკულტურობასა და უწესრიგობას თან სდევდა შეფერხება მუშაობაში, ზოგჯერ მექანიზმის მწყობრიდან გამოსვლა, ზოგჯერ მარცხიც კი. ასეთი მდგომარეობა იყო ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ლენინის სახელობის მაღაროში.

პარტიული კრების დღის წესრიგში დაისვა წარმოების კულტურისათვის ბრძოლისა და კერძოდ სამთო ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვის საკითხი. მომხსენებელი იყო ინჟინერი ლ. ჯინორიძე. საკითხის მომზადებაში მონაწილეობდნენ ინჟინერი ივერა ერქომაიშვილი, უბნის გამგე, სამთო ტექნიკოსი მ. გორგაძე, კომუნისტები დ. კახნიაშვილი და ლ. დევიძე. მათ საფუძვლიანად შეისწავლეს მაღაროს ყველა უბანი, ლავი, სანგრევი, აღრიცხეს სამთო ტექნიკური წესების დარღვევის, უკულტურობის, უსუფთაობისა და უწესრიგობის შემთხვევები. კრებაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს მაღაროს მთავარმა ინჟინერმა კ. ზამთარაძემ, უბნის გამგეებმა მ. გორგაძემ, ა. ჭრელაშვილმა, მაღაროს გამგემ გ. ჩაჩანიძემ, მთავარმა მექანიკმა ა. ცარციძემ.

ინჟინერმა გ. ჩაჩანიძემ აღნიშნა, რომ კოროხნალის უბნებში ცუდია ლავებისა და სანგრევების გამაგრება, იქ დახერგილობა და ტალახია, ვაგონებს არ უკეთდება წესიერი რემონტი. მთავარი მექანიკოსი ა. ცარციძე მექანიზმების მოვლასა და მათ კულტურულ გამოყენებაზე შეჩერდა. მან თქვა, რომ ზოგჯერ მტვირთავ მანქანებს დაუდევრად ეპყრობიან, მათ ჯალამბრისა და ელმავლის მაგიერ იყენებენ, რაც მანქანის ღერძის გაფუჭებას იწვევს, ზოგი მემანქანე დროულად არ ზეთავს მანქანას.

კრებაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ პირველ, მეექვსე და მეშვიდე უბნებში ტალახი, სუსტი სინათლე და დახერგილობაა, რაც ხელს უშლის შრომის ნაყოფიერების ზრდას და მადნის ხარისხის ამაღლებას. მეორე უბნის მთავარ საზიდში ჩასამატებელია ჩარჩოები. საჭიროა ამავე უბნის № 17 და 21 ლავების გაძლიერებული გამაგრება. პირველ, მესამე და მეოთხე უბნებში მოსაწესრიგებელია ელგაყვანილობა. მესამე და მეექვსე უბნებში უნდა გაძლიერდეს ვენტილაცია. მადნის გამაუხვებელ ფაბრიკაში დანადგარები და ღვედური გადაცემები შემოსაღებია.

კრებამ აღნიშნულ საკითხზე კონკრეტული დადგენილება მიიღო. დაიწყო დადგენილების შესრულებისათვის ბრძოლა. პარტიული ორგანიზაცია შემდეგ კვლავ უბრუნდება წარმოების კულტურის, სამთო ტექნიკური უსაფრთხოების წესების მტკიცედ დაცვის საკითხებს. კომუნისტები ბრძოლობენ მექანიზმების მოვლა-პატრონობის, მაღაროს ტერიტორიის კეთილმოწყობის, მოსამზადებელი ცვლების მუშაობის საკითხებზე, სახავენ ღონისძიებებს.

პარტიული ორგანიზაცია მაღაროს მთელ კოლექტივს რაზმავს დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. ტექნიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად გაძლიერდა საგეგმიო-პროპაგანდისტული მუშაობა. თვალსაჩინო ადგილებზე გამოიკრა ლოზუნგ-პლაკატები, რომლებიც მუშებს მოუწოდებენ წარმოების მაღალი კულტურის დანერგვისაკენ. აგიტატორები და ლექტორები ატარებენ საუბრებს წარმოების კულტურის მნიშვნელობაზე.

წარმოების კულტურის ამაღლებისათვის მაღაროში განსაკუთრებით ბევრრამ გაკეთდა ივლისში დამთავრებული ერთთვიურის დროს. მთელი გვირაბი გაიწმინდა ტალახის, დახერგილობისა და ფუჭი ქანისაგან. წყლიან და ტალახიან უბნებში სასიარულო გზაზე დაიგო ფიცარი, სრულ წესრიგზეა ელგაყვანილობა, ყველა უბანში, სანგრევსა და ლავში გაძლიერდა განათება. მთავარ საზიდებში მოეწყო თავშესაფრები, ყველა საზიდში მოწესრიგდა გადამაგრება, ხდება სანგრევების ამოხიმვა. გაუმჯობესდა მაღაროს ვენტილაცია; დაიდგა ახალი ვენტილატორი წუთში 400 კუბმეტრის წარმადობით, მესამე უბანში დაემატა სამი ზღუდარი და ორი კარი, მეექვსე უბანში გაკეთდა კროსინგი, რომელიც ხელს უწყობს განიავებას. მადნის გამაუხვებელ ფაბრიკაში დაზგა-დანადგარები შემოიღო, მოწესრიგდა ღვედური გადაცემა, ფაბრიკა დასუფთავდა და გაიწმინდა ნარახურისაგან. ერთთვიურის დროს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კომუნისტმა უბნის გამგეებმა მ. გორგაძემ, გ. გაფრინდაშვილმა, გამაუხვებელი ფაბრიკის გამგემ ინჟინერმა ვ. საღინაძემ.

ლენინის სახელობის მაღაროში ბევრი გააკეთეს აგრეთვე მაღაროს ტერიტორიის, ეზოს, მისასვლელი გზების, კიბეების კეთილმოწყობისათვის. წარმოების მაღალი კულტურისათვის ბრძოლაში და სამთო-ტექნიკური უსაფრთხოების წესების დაცვის მხრივ ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი ახლა პირველია ჭიათურაში.

უდაოდ წარმოების მაღალი კულტურითაც აიხსნება, რომ ლენინის სახელობის მაღარომ 115,9 პროცენტით შეასრულა შვიდი თვის დავალება.

მაღაროელები მომავალში მეტს გააკეთებენ. მათ არ სჩვევიათ მიღწეულით დაკმაყოფილება.

პ. ჭიოკაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

წყლის მექანიკური საგუმბავები ახალციხის კოლმეურნეობებში

ახალციხე. (საკ. კორ.). სოფელ აწყურის სტალინის, მინაძის ძერჟინსკის და ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობებში მოეწყო წყლის მექანიკური სატუმბავები, რომელთა საშუალებით ათასზე მეტი ჰექტარი ბაღი, ბოსტნები და მარცვლეული კულტურები ირწყვიბა. მალე ასეთივე სარწყავი სისტემა ამუშავდება სოფელ მუღარეთის, ფერსის, წნისის და კლდის კოლმეურნეობებში.

ურწყავი, მცირემოსავლიანი მინდვრები ბაღნარად იქცევა.

აგურ-კრამიტის ახალი ქარხანა

ქარელი. (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ რამდენიმე ხნის წინათ რაიონის ცენტრში დაამთავრა აგურ-კრამიტის ახალი ქარხნის მშენებლობა.

აგურ-კრამიტის ქარხანამ მეორე კვარტალის გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვა 21.000 ცალი აგური და 8.000 ცალი კრამიტი.

ტაბაწყურის ტბაზე

ბოლნისი. (საკ. კორ.). ორი თვეა, რაც ტაბაწყურის ტბაზე თევზის ჭერის სეზონი დაიწყო.

საქთევზის ტაბაწყურის ტბის კოლექტივმა ნავებითა და ბადეებით უკვე დაიჭირა 10 ტონაზე მეტი თევზი.

თევზის შემდგომი მოშენების მიზნით წელს ტბაში ჩაშვებულ იქნება 100.000-მდე ლიფსიტა.

კულტურის სახლი მეთევზეთა კოლმეურნეობაში

ქობულეთი. (საკ. კორ.). ქობულეთის მეთევზეთა კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ შენდება მეთევზე კოლმეურნის კულტურის სახლი.

კულტურის სახლს ექნება მაყურებელთა 200-ადგილიანი დარბაზი, ბიბლიოთეკა და 6 ოთახი დასვენებისა და საწრეო მუშაობისათვის.

საკოლმეურნეო აბანოს მშენებლობა

ჩხოროწყუ. (საკ. კორ.). სოფელ ხაბუმის ბერიას, მუხურის კაგანოვიჩის და ზუმის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში დაიწყო აბანოს მშენებლობა. მათი მშენებლობა და კეთილმოწყობა დამთავრდება მიმდინარე წლის ოქტომბრისათვის.

სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო ხარისხის კომბაინის აგრეგატის სახელწოდების მოსაპოვებლად

ვინ გაიმარჯვებს?

სტახანოვურად მუშაობს სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი **შირაქის** მტს-ის კომბაინერი **ივანე მელიქიშვილი.** მან წელს გეგმით გათვალისწინებული 219 ჰექტარის ნაცვლად სეზონში 500 ჰექტარი პურის აღება იკისრა და პირობა წარმატებით გაანაღდა.

შირაქელ კომბაინერ **სიო პატაშვილს** გეგმით 400 ჰექტარი პურის აღება ევალებოდა, იკისრა 600 ჰექტარისა, ფაქტიურად 605 ჰექტარი პური აიღო. გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს კომბაინერმა **ალექსი** და **ივანე ბეკაურებმა.**

წითელწყაროს მტს-ს მრავალი მოწინავე კომბაინერი ჰყავს. მათ შორის არიან: **მ. დარჩიაშვილი, ა. გარსევანიშვილი, გ. დოლიძე, ა. ელიზბარაშვილი, ი. სოროკინი** და სხვ. გეგმით გათვალისწინებული 280 ჰექტარის ნაცვლად ამხ. დარჩიაშვილს აღებული აქვს 418 ჰექტარი პურეული, ამხ. გარსევანიშვილს—367 ჰექტარი.

ბოლნისის მტს-ში (დირექტორი ამხ. **კალანდაძე**) საშუალოდ თვითეული კომბაინით აღებულია 305 ჰექტარი პურეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 285 ჰექტარისა, გეგმა შესრულებულია 117 პროცენტით. გეგმის გადამეტებით ნაკისრი ვალდებულების მიხედვით სულ აღებულ იქნება 500 ჰექტარზე მეტი პური. კომბაინერ **ო. მიქელაძეს** აღებული აქვს 431 ჰექტარი პურეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 340 ჰექტარისა. კომბაინერ **პ. მუხიგულს** გეგმით გათვალისწინებული 240 ჰექტარის ნაცვლად 307 ჰექტარზე აქვს პურეული აღებული, გეგმის 127,9 პროცენტი. კომბაინერმა **ბ. სავიცევმა** დავალება 120,3 პროცენტით შეასრულა, **ს. კირილოვმა** — 117,5, **ი. დუბროვსკიმ** — 108, **ბ. ბალდახარიანმა** — 105 პროცენტით.

მოწინავე კომბაინერებმა, მოსავლის აღების გეგმის გადაჭარბებასთან ერთად, დიდი რაოდენობით დაზოგეს საწვავი. მაგალითად, ო. მიქელაძეს დაზოგილი აქვს 110 კილოგრამი, ს. კირილოვს — 120, პ. მუხიგულს — 95, ი. დუბროვსკის — 85 კილოგრამი.

ბოლნისელი კომბაინერები კვლავ წარმატებით მუშაობენ იმისათვის, რომ თვითეულმა დამატებით აიღოს 40-100 ჰექტარამდე პური.

ახმეტის მტს-მა წელს გადაჭარბებით შეასრულა მოსავლის აღების გეგმა. განსაკუთრებით ისახელა თავი კომბაინერმა **ს. რამაზაშვილმა.** მან 20 დღეში 386 ჰექტარზე აიღო მოსავალი, გეგმა კი 224 ჰექტარის აღებას ითვალისწინებდა. ამხ. რამაზაშვილი ახლა თავის კომბაინს სოფელ ოყოს კოლმეურნეობაში ლეწვაზე ამუშავებს და დავალებას წარმატებით ასრულებს. კომბაინერ **ა. ნადირაძეს** 222 ჰექტარის ნაცვლად მოსავალი აღებული აქვს 350 ჰექტარზე და ახლა ლეწვაზე მუშაობს, **ბ. ნახუცრიშვილს** მოსავალი აღებული აქვს 360 ჰექტარზე, **ნ. ნახუცრიშვილს** — 273 ჰექტარზე.

დიდმის მტს-ის კომბაინერმა **შ. აბუაშვილმა** 250 ჰექტარი პურეული აიღო, გეგმა კი 180 ჰექტარის აღებას ითვალისწინებდა. **ლ. აბრამიშვილს** აღებული აქვს 260 ჰექტარი მოსავალი, ნაცვლად 180 ჰექტარისა, **პ. ხარკოვსკის** — 300 ჰექტარი.

მცხეთის მტს-ში მოწინავეა კომბაინერები **ს. ბიწიაშვილი,** რომელსაც 241 ჰექტარის ნაცვლად აღებული აქვს 290 ჰექტარი პურეული და **შ. ილიაევი,** რომელმაც გეგმას 30 ჰექტარით გადააჭარბა. თვითეული მათგანი დღეში 16-20 ჰექტარზე იღებს მოსავალს და დამატებით წელს 40-50 ჰექტარის აღებას გვპირდებიან.

სტალინირის მტს-ის კომბაინერებიდან მოწინავეა **პ. მიროშნიკოვი.** მას გეგმით წელს 200 ჰექტარი მოსავლის აღება ევალება, ფაქტიურად 250 ჰექტარის აღება იკისრა. აქედან 180-ზე მეტი ჰექტარი უკვე აღებული აქვს. ასეთივე წარმატება გვიჩვენა **ქსუისის** მტს-ის კომბაინერმა **მ. ხანიკაევმა.**

დაგროვილია 120 ათასი ძირი ევკალიპტი

ჟუთაისი. (საკ. კორ.). რაიონში სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა ევკალიპტის გაშენებას, რომელსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

წელს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 107 ათასისა, დარგულია 120 ათასი ძირი ევკალიპტი. აქედან კოლმეურნეობებში გაშენებულია 116 ათასი ძირი, ხოლო ცალკეული ორგანიზაციების მიერ 4 ათასი ძირი.

ევკალიპტის გაშენებას განსაკუთრებით ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ოფშკვითის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში და სოფელ ტყაჩირის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“, მათ ევკალიპტის ნერგის გამოსაყვანად სპეციალური რგოლები შექმნეს და დააკომპლექტეს ისინი ამ ძვირფასი კულტურის მოვლა-გაშენების აგროტექნიკის მცოდნე ადამიანებით.

გათვალისწინებულია რაიონში წელს დაირგოს კიდევ 77 ათასი ძირი ევკალიპტი.

ჩვენ გვწერენ

დამსვენებელთა მოვლა-პატრონობა

წაღვერის პროფსაბჭოს სანატორიუმი მოწყობილია საუკეთესო ადგილას — კეხნობის მაღლობზე. ყოველ სეზონში აქ მრავალი ასეული ადამიანი მიილტვის დასასვენებლად. ისინი ჩინებულად გრძნობენ თავს წარმტაცი და ძიმზიდველი წაღვერის ბუნების წიაღში.

მაგრამ, სამწუხაროდ, სათანადო პირობები როდია შექმნილი დამსვენებელთა მომსახურებისათვის. სანატორიუმში 300 ადგილია. საგზურები კი ყოველთვიურად 450-ზე მეტი იცემა. ცალკეულ ოთახებში, ნაცვლად 3-4-ისა, 6-7 დამსვენებელია.

— ადგილი არა მაქვს, დროებით ჩემს კაბინეტში მოგათავსებთ!

— თქვენ ფიზიოკაბინეტში მოგაწყობთ!

— თქვენ ექიმის სამორიგეო კაბინეტში მოისვენეთ!

ასე მიმართავს სანატორიუმის დირექტორი ალ. კერესელიძე დამსვენებლებს. ამის გამო დამსვენებლები სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამენ. აღნიშნული გარემოება საექიმო პერსონალის ნორმალურ მუშაობასაც ხელს უშლის.

სანატორიუმში ცუდად არის დაყენებული დამსვენებელთა კვება. კეთდება დაბალი ხარისხის, სტანდარტული და უგემური საჭმელები.

სანატორიუმში კულტურული მუშაობა ჩაშლილია, კლუბის შენობის შეკეთება ახლა მიმდინარეობს, არ ეწყობა მასობრივი გართობა. კულტმუშაკი გ. მარგველაშვილი სრულ უმოქმედობას იჩენს. იგი სათავეში ვერ ჩაუდგა დამსვენებელთა შემოქმედებით ინიციატივას. ერთხელ დამსვენებლებმა განიზრახეს ადგილობრივი ძალებით მოეწყოთ სალამო-კონცერტი, დანიშნეს დღე და საათი, ხალხი შეიკრიბა. საათნახევრის ლოდინის შემდეგ გამოაცხადეს, კონცერტი არ შედგებაო. გამოირკვა, რომ კონცერტის ზოგიერთ ნომერში სანატორიუმის ცხოვრების ნაკლოვანებანი იუმორისტულ ფორმებში უნდა გაეკრიტიკებინათ. ეს დირექციამ იწყინა, კრიტიკისა შეეშინდა და კონცერტის გამართვის ნება არ დართო. ასე ჩაიშალა ეს კონცერტი.

კურორტვაჭრობა ნაკლებად ზრუნავს დამსვენებელთა მომსახურებისათვის. კურორტზე გახსნილი არ არის სასმელი წყლების კიოსკი, არ იშოვება ბორჯომის წყალი.

როდის მოეღება ბოლო ასეთ უთაურობას და უპასუხისმგებლობას?

დ. მახვილაძე

კურორტი ლესე

ჯავა. (საკ. კორ.). წელს მთელი რიგი ღონისძიებები ჩატარდა კურორტ ლესეს კეთილმოსაწყობად. კაპიტალურად შეკეთდა მთავარი შენობა. მოეწყო 4 ახალი აბაზანა, სამკურნალო კაბინეტი.

კურორტის ტერიტორია გასუფთავებული და წესრიგზე მოყვანილია. 8 კილომეტრზე გაფართოვდა მისასვლელი გზა, აგებულ იქნა 6 ახალი ხიდი.

ლენინგორი

რაიონის რუკასთან

პარტიის რაიკომის მდივნის სამუშაო ოთახში თვალსაჩინო ადგილზე გაკრულია რაიონის გეოგრაფიული რუკა. რაიონის ჩრდილოეთი საზღვარი კავკასიონის მთაგრეხილებამდე აღწევს, ხოლო სამხრეთით იგი ქართლის გაშლილ ველებს ებჯინება.

როცა მაღალმთიან შორეულ სოფელ ძიმირში ჯერ კიდევ თოვლია, იკოთში გაზაფხული ძალაში შედის, მევენახე სასხლავით ხელში ვენახისაკენ ეშურება, ხეხილი ყვავილობას იწყებს.

უკანამხარეში, დადიანეთში, ქარჩოხში მეტწილად მესაქონლეობას მისდევენ. ამ სოფლებში ზაფხული ისე ხანმოკლეა, რომ ტყის ხილიც ვერ ასწრებს დამწიფებას. ყანჩავეთში კი რთველის დამთავრების შემდეგაც კვლავ აცხუნებს მზე.

კავკასიონის მთებიდან მოედინება მდინარე ქსანი. მისი სანაპიროები ქსნის ულამაზეს ხეობას ქმნიან. ამ მდინარეზე ლენინგორთან არის ელექტროსადგური, რომლის კაშკაშა სინათლე ეფინება რაიონულ ცენტრს, მახლობელ სოფლებს.

წერტილი, რომელიც ლენინგორთან ჰიდროელექტროსადგურის არსებობას გვაუწყებს, რამდენიმე წელია, რაც რაიონულ რუკაზე გამოჩნდა. ახალი წერტილები გამოჩნდა რუკაზე უკანასკნელ დროს. ეს ნიშნავს: ქსანს კვლავ გადაუღობავენ გზას სოფელ იკოთთან და ქურთასთან. კოლექტიური შრომა ამ ადგილებზეც ააგებს ელექტროსადგურებს. საამაყო საჩუქარი—ილიჩის ნათურები მოეფინება კიდევ რამდენიმე სოფელს.

დასახლებული პუნქტები რუკაზე ერთმანეთს უკავშირდებიან ხაზებით. ეს ხაზები ხვეულებად ჩანან. ამით გამოხატულია მთის სოფლების გზების მიმართულება. ძველათ რაიონს რომ რუკა ჰქონოდა, მასზე აღნიშნული იქნებოდა ერთადერთი ხაზი—სამანქანო გზა კასპიდან ახალგორამდე. ახალ რუკაზე გამოხატული ხაზების ქსელი სამანქანო გზებს აღნიშნავს. ეს ახალი გზები რაიონის თორმეტივე სასოფლო საბჭოს ცენტრში შედის.

ესეც ჩანს რაიონის რუკაზე: ჩრდილოეთით აღმართულა ბუმბერაზული მთები. ზღვის დონიდან 2.000—3.000 მეტრის სიმაღლეზე შესანიშნავი ალპური საძოვრებია. მთების უბეში ლურჯად ლიცლივებს ყელის ტბა.

ვინც ასე მახლობელი, ასე მშობლიური და უკვდავია ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის, მისი დიადი სახელი ამ რუკაზე ყველაზე უფრო თვალსაჩინოა. ახალგორს ლენინგორი ჰქვია.

რაიონის ბოლშევიკები, ახორციელებენ რა სტალინურ მითითებებს, რაზმავენ მშრომელებს ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

მარცვლეული, ბაღ-ვენახები

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლა რაიონის მშრომელებმა დროულად გააჩაღეს. უკეთ მოეწყო ბრძოლა უხვი სტალინური მოსავლის მისაღებად. გაიზარდა მოწინავე ადამიანთა რიგები. ფართოდდება აგროტექნიკური პროპაგანდა. კოლმეურნეობების აგრომომსახურების საქმე ახალ გაქანებას იღებს. მაღლდება მიწათმოქმედების კულტურა.

კოლმეურნეები სოფლის პარტორგანიზაციების ხელმძღვანელობით მზრუნველობას არ აკლებენ თავთავიანი კულტურების 6.075 ჰექტარ და სიმინდის 1.000 ჰექტარზე მეტ ნათესებს, 357 ჰექტარ ხეხილის ბაღებს, 70 ჰექტარ ვენახს და სხვა.

თავთავიან კულტურათა უხვი მოსავლის მიღების ოსტატობას დაეუფლნენ მაღალმთიან კოლმეურნეობებში. სოფელ ქოლოთში წელს პურეულის კარგ მოსავალს მოელიან. პურეული აქ 33 ჰექტარზე უთესიათ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე კოტე ხარხელი გვიამბობს:

— გვალვას ვაჯობეთ. თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ უთუოდ მივიღებთ 13 ცენტნერ ხორბალს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 11 ცენტნერისა. ხომ ხედავთ, როგორ ადგილზეა ჩვენი ყანები. ამ პირობებში ასეთი მოსავალი მცირე როდია.

ჰექტარზე 10 ცენტნერ ხორბალს ელოდებიან სოფელ ჯვარისუბნის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ წევრები. „ახალი ცხოვრებაც“ მთის პატარა სოფელია. აქ წამყვან დარგს მეცხოველეობა წარმოადგენს. თავთავიანი კულტურები კი 24 ჰექტარი უთესიათ.

პირველი კალები გალეწეს ყანჩაველთსა და მოსაბრუნში. ამ კოლმეურნეობათა წევრებმა ახალი მოსავლის პირველი განალეწი ხორბალი სახელმწიფო ბელელში ჩაიღეს.

წელს 200 ჰექტარი თავთავიანი კულტურების მოსავალს იღებს სოფელ იკოთის კოლმეურნეობა „ლენინის გზით“. აქაც იბრძვიან მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის. ამ საქმეზეა მიმართული სოფლის ძთელი ძალები. დიდი და პატარა, ქალი და კაცი მინდვრად გასულა. თავთავების აკრეფაზე 40 მოზარდი მუშაობს. მათ შორის პირველობენ: ვანო ფიცხელაური, არჩილ და კოლია გიგაურები; ისინი მარჯვედ შრომობენ. თავთავის ამკრეფი რაზმის ნაყოფიერი შრომით კოლმეურნეობის ბელელს ათობით ფუთი ხორბალი ემატება.

პურეულის ნაწილი კოლმეურნეობას მთებში უთესია; ეს ნათესები სოფელს 4-5 კილომეტრითაა დაშორებული. იქ წავიდა მემინდვრეობის მესამე ბრიგადა გიორგი ბაშაულის ხელმძღვანელობით. მთის ფერდობებზე წელს ბართან შედარებით პურეულის უკეთესი მოსავალია. ბრიგადირმა ყანებში მოაწყო კარვები, სადაც კოლმეურნეები ღამეს ათევენ, ღილით ადრე გადიან მინდვრად და სამუშაო დღეს მაღალნაყოფიერად იყენებენ.

კალოებზე შეუსვენებლად ეზიდებიან ძნას მეურმეები ხვთისო ნიაური და ვანო იმნაძე. სხვები ადრიანად ჩაშლიან ძნას, შეაყენებენ კევრებს და ილეწება თავთავები. სამხრობისას კალოზე ხორბალი ხვავდება. ხვავებთან ცხრილებით ხელში გაჩნდებიან კოლმეურნეები სოფიო ნიაური, მარო მახარაშვილი, მარო იმნაძე. ეს ადამიანები გულდაგულ ცხრილავენ მარცვლეულს. ივსება ტომრები, იტვირთება ურმები, რომელთა პირველი გზა სახელმწიფო ბელელისაკენ მიდის.

ცნობილი მებაღე, ხილის უხვი მოსავლის მიღებისათვის შრომის წითელი დროშის ორდენი რომ მიიღო, თავისი რგოლით ახალი მოსავლის აღებაზე გავიდა. ეს არის მაგდანა გვრიტიშვილი. მან მოსავლელად მიჩენილ ბაღში მორიგი აგროღონისძიება უკვე ჩაატარა, შემდგომი ღონისძიების გატარების დაწყებამდე დარჩენილ რამდენიმე დღეს კი რგოლი პურეულის მოსავლის შემჭიდროებულ ვადაში აღებას ახმარს.

გვალვასთან ბრძოლაში მამაცური შრომის მაგალითებს აჩვენებენ სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატები სოფელ ლენინგორის კოლმეურნეობაში. აქ 20 ჰექტარი სიმინდი უთესიათ. წარმატებით ჩატარდა სიმინდის პირველი, მეორე და მესამე თოხნა. ავანგარდშია ლადო ხრიკულის ბრიგადა. შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას ანაღდებს ფეფო გურწიეკვას რგოლი.

ლენინგორის რაიონში ცნობილია სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატი პელაგია კიბილოვა. იგი სოფელ ახალდაბაში ცხოვრობს. შარშან ამხ. კიბილოვამ ერთ ჰექტარზე 32 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. წელს ახალი ვალდებულება იკისრა: მიჩენილ ჰექტარზე 50 ცენტნერი სიმინდი მოიწიოს. ვისაც კიბილოვას მოვლილი სიმინდის ნათესი უნახავს, იგი დარწმუნებულია, რომ უხვი მოსავლის ოსტატის დაპირება საქმით იქნება განაღდებული.

ხეხილის ბაღები და განსაკუთრებით ვენახები წელს სამაგალითოდ არის მოვლილი ლენინგორში. პირველ რიგებში არიან ყანჩაველი მევენახეები. ხმირმსხმოიარეა კოლმეურნეობის 6 ჰექტარზე გაშენებული ვენახი. აქაურმა მევენახეებმა პირობა დადეს: წელს თვითეულ ჰექტარზე 120 ცენტნერი ყურძენი მოიყვანონ, ანუ შარშანდელზე 30-40 ცენტნერით მეტი. სანიმუშოდ მოვლილია ვენახის მთელი ფართობი. მაღალნაყოფიერად შრომობენ გიორგი და მიხეილ ტატუნაშვილები. მათი რგოლები ერთმანეთს ეჯიბრებიან პირველობისათვის.

ყანჩაველი მევენახეების მსგავსად ხილ-ყურძნის უხვი მოსავლისათვის იბრძვიან სოფელ წირქოლში ვასილ ხრიკული, ბოლში კოლა ილურიძე და პავლე მორბედაძე, წინაგრში ვასილ ხუბულოვი, ლენინგორში ვასო ხრიკული.

უხვი მოსავლის ოსტატთა რიგების ზრდას მოწმობენ შემდეგი ციფრები: 1947 წელს უხვი მოსავლის მიღებისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურება მიიღო 284 კოლმეურნემ, 1948 წელს კი—389 კოლმეურნემ. რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები ისწრაფვიან, რომ შრომაში გამარჯვებულთა რაოდენობა წლითიწლობით იზრდებოდეს.

სამწლიანი გეგმის ოქრ წელიწადში შესრულებისათვის

ყველგან მოქმედებაში შევიდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა. ლენინგორელმა მეცხოველეებმა გადადგეს პირველი ნაბიჯები: ცალკეულ კოლმეურნეობებში დიდი გულმოდგინეთ შეიმუშავეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის განხორციელების ღონისძიებანი. ამ მუშაობას მტკიცედ წარმართავენ პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი თავიანთი აქტივის საშუალებით. მოწინავე მეცხოველეებმა ძვირფასი ინიციატივა გამოიჩინეს—მათ პირობა დადეს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმა ორ წელიწადში გადაჭარბებით შეასრულონ. ამ ინიციატივამ მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა მთელ რაიონში; კოლმეურნეობათა საერთო კრებაზე განიხილეს და დამტკიცეს მეცხოველეობის განვითარების საკუთარი სამწლიანი გეგმები; ამის შემდეგ პარტიის რაიკომის ბიურომ და რაისაბჭოს აღმასკომმა 6 ივლისს განიხილეს მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის განხორციელების ღონისძიებები. აქ საბოლოოდ ნათელი გახდა, რომ მოწინავე მეცხოველეთა ინიციატივა სავსებით რეალურია.

ამ გეგმის განხორციელებას სათავეში უდგანან პარტიული ორგანიზაციები.

კომუნისტი ვანო ყველაშვილი სოფელ თოხთის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის გამგეა. ფერმაში გეგმით 7.991 სული ცხვრის ნაცვლად 9.792 სული ჰყავს. მათში 3.600 სული ქსანური ცხვარია. აქაურ მეცხვარეებს ბრძოლა გაუჩაღებიათ იმისათვის, რომ 1951 წლის ბოლოს ფერმაში მთლიანად ეყოლოთ ქსანური ცხვარი. ასე გაუმჯობესდა ამ ფერმაში მეცხვარეობის ჯიშობრივი შემადგენლობა. ეი რა იქნება ამის შედეგი: თვითეული სული ქსანური ცხვარი 40-50 კილოგრამს იწონის. დღემდე არსებული ჯიშის თვითეული ცხვრის ცოცხალი წონა კი 28-32 კილოგრამია (ქსანური ცხვრის ცალკეული ეგზემპლარების ცოცხალი წონა შეადგენს 80-85 კილოგრამს). ქსანური ცხვარი ახლანდელ ჯიშთან შედარებით ორჯერ მეტს და მაღალი ხარისხის მატყლს იძლევა. იგი უკეთესად ეგუება ადგილობრივ პირობებს, იტანს შორეულ მგზავრობას. საპატიო ვალდებულების სასახელოდ შესრულებისათვის ბრძოლაში ფერმის გამგეს მხარში უდგანან გამოცდილი მეცხვარეები შაქრო ყველაშვილი და სანდრო თამარაშვილი.

დადიანეთლებს თამამად შეუძლიათ თქვან: სამწლიან გეგმას ორ წელიწადში შევასრულებთო. ამის საფუძველი აქვთ: მეცხვარეობის ფერმაში 10.463 სულ ცხვარს ითვლიან, 8.650 სულის ნაცვლად. ცხვარს ფხიზლად პატრონობენ და მზრუნველობენ საშა ბერიანიძე, იოსებ ჩიტიშვილი, ლექსო ბერიანიძე.

შიო თეზელაშვილს მკერდზე უბრწყინავს ორდენი, რომელიც მეცხვარეობაში დიდი წარმატების მოპოვებისათვის დაიმსახურა. მის ფერმაში ყველაზე მეტია ქსანური ცხვარი. თვითეულ მათგანზე წელს პირველი გაპარსვისას მიიღო 2,5 კილოგრამი მატყლი. მეცხოველეობის პროდუქტების ჩაბარების წლიური დავალება ამ ფერმამ მთლიანად შეასრულა.

მეძროხეობის ფერმებში მკვეთრად მაღლდება პროდუქტიულობა; წლის პირველ ნახევარში შარშანდელთან შედარებით თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 130 ლიტრით მეტი რძე. პირუტყვის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში ჩადგნენ: ი. ქურთაული, ციხისოფლელი თალიკო ბედოევა.

რაიონის კოლმეურნეობებში შრომადღეებზე ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო ძეტი რაოდენობით ნაწილდება მეცხოველეობის პროდუქტები. გასულ წელს შრომის დამატებითი ანაზღაურების სახით მეცხოველეობის პროდუქტები მიიღო 531 მოწინავე მეცხოველემ.

სოფელში თუ მთაში, როცა ერთმანეთს შეხვდებიან კოლმეურნეობის თავმჯდომარე და პარტორგანიზაციის მდივანი, ფერმის გამგე და მწყემსი ერთმანეთს ეკითხებიან: — რას აკეთებ სამწლიანი გეგმის ორ წელიწადში შესრულებისათვის.

და მეცხოველეები ერთმანეთს უამბობენ ამჟამად სოფლის მეურნეობის ცენტრალური ამოცანის განხორციელებისათვის გადადგმული ნაბიჯების შესახებ.

ვ. გელაშვილი
ს. ყურაშვილი

(გაგრძელება იქნება)

მზადება ახალი სასწავლო წლისათვის

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტების მასალების მიხედვით)

ახალი სასწავლო წლისათვის მზადება დასასრულს უახლოვდება. აბაშის, ოელავისა და ხულოს რაიონების მშრომელთა ინიციატივით წელს ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება სკოლებისათვის დახმარების აღმოსაჩენად, მათი მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად.

ახალ სასკოლო მშენებლობასა და სკოლების შენობათა რემონტზე, სასწავლო ინვენტარის შეძენა-შეკეთებაზე, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და სასკოლო ბიბლიოთეკების შექმნა-შევსებაზე, სახელმძღვანელოებით, პროგრამებით და სასწავლო-საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფაზე, სათბობით გომარაგებასა და სკოლის ეზოების წესრიგში მოყვანაზე მოგვითხრობენ ჩვენი კორესპონდენტები.

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ამხ. **გ. მეფისაშვილი** გვატყობინებს, რომ **ქუთაისის** რაიონის სკოლები მზად ხვდებიან სწავლის დაწყებას. ძირითადად დამთავრდა როგორც სასკოლო შენობების, ისე ინვენტარის რემონტი. 42 სასკოლო შენობიდან რაიონში კაპიტალურად შეკეთებულია 5, ხოლო მიმდინარე რემონტი გაუკეთდა 37 შენობას. სარემონტო სამუშაოები ყველაზე ადრე დაამთავრეს ოფშკვითის კვახჭირის, დერჩის, საყულიის და სხვა სკოლებში. წესრიგშია მოყვანილი სასკოლო ინვენტარი, შეკეთებულია 1.200-მდე მერხი, 909 დაფა, 100 მაგიდა, 280 სკამი. წელს ახლად შეძენილია 388 მერხი, 62 დაფა, 56 კარადა, 284 სკამი და 42 მაგიდა. რაიონის სკოლების კაბინეტების, ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკებისათვის მიღებულია 100 ათასი მანეთის ხელსაწყოები და 13 ათასი მანეთის ლიტერატურა. სკოლებში შეგროვილია 12.500 ცალი სტაბილური სახელმძღვანელო, გარდა ამისა „საქწიგნის“ ქუთაისის განყოფილებაში მიღებულია დიდძალი სახელმძღვანელოები.

კოლმეურნეთა შრომითი მონაწილეობით დაწყებითი სკოლისათვის სოფელ წოხტევში (**ახალციხის** რაიონი) აგებულ იქნა ახალი 6-ოთახიანი სასკოლო შენობა — იწერება ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი ამხ. **ნ. ფარჯანაძე.** ახალი სასკოლო შენობის აგებას აგრეთვე ამთავრებენ სოფელ წინტბანში, საძელსა და წყალთბილაში. რაიონში გამოცხადდა და ორგანიზებულად ჩატარდა სკოლის დახმარების ორკვირეული. მშრომელებმა სკოლები მოამზადეს საჭირო რაოდენობის შეშით, შეაკეთეს სასკოლო შენობები და ინვენტარი, მერხები, დფები, კარადები, სკამები და სხვა. სოფელ ურავლის 26 კომლისრის სახელობის კოლმეურნეობამ სკოლის შენობის რემონტისა და მისი ახალი სასწავლო წლისათვის მომზადებასთან ერთად მასწავლებლებისათვის ააშენა ახალი ორბინიანი სახლი. სოფელ ანდრიაწმინდის წულუკიძის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. ისარიძე) რაიონში პირველმა დაამთავრა სასკოლო შენობის რემონტი.

მაგრამ რაიონში არიან ისეთი სკოლებიც, სადაც ჯერ კიდევ არასაკმაოდ მუშაობენ ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად. მაგალითად, სოფელ ვალეში, ნაოხრებში, ფერსაში, ივლიტში, წყორაში და სხვაგან სკოლები შეუფერებელ ბინებშია მოთავსებული. სოფელ აწყურის საშუალო სკოლას კარგი შენობა აქვს, მაგრამ მას რემონტი ესაჭიროება.

როგორც ჩვენი კორესპონდენტი ამხ. **დ. პაიჭაძე** გვატყობინებს, ქ. ბათუმის სკოლების რემონტისათვის წელს უნდა დაიხარჯოს 919 ათასი მანეთი. მიმდინარეობს 7 სასკოლო შენობის კაპიტალური რემონტი. სკოლების სასწავლო კაბინეტებისა და ლაბორატორიების მოსაწყობად გადადებულია 56 ათასი მანეთი. სკოლების რემონტისა და კეთილმოწყობის საქმეში აქტიურად მონაწილეობენ საშეფო ორგანიზაციები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მთავარ-ნავთმომარაგების ბათუმის განყოფილების, სტალინის სახელობის ბათუმის ნავთგადამამუშავებელი ქარხნის, ციტრუსკომბინატის, პურის კომბინატის და „საქსოფშშენის“ დახმარება სკოლებისათვის.

ჩვენი ტყიბულელი კორესპონდენტის ამხ. **ვ. ცირეკიძის** ცნობით, რაიონის მთელი რიგი სკოლების რემონტი ნელი ტემპით წარმოიგება. ზოგიერთ სოფელში შეუწყარებლად ჭიანურდება სკოლის შენობისა და ინვენტარის რემონტი, ზოგან კი ეს საქმე სრულიად მივიწყებულია. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ორპირის სასოფლო საბჭოში (სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. კეთილაძე). აქ დღემდე არ მოგონებიათ ახალი სასწავლო წლისათვის მომზადება. სოფელ ჭყეპის დაწყებითი სკოლა კაპიტალურ რემონტს საჭიროებს, მაგრამ დღემდე ამ საქმეს არ შედგომიან. ანალოგიური მდგომარეობაა მანდიჯორის დაწყებით სკოლაში. მოუგვარებელია როგორც სტაბილური სახელმძღვანელოების შეგროვების, ისე ახალი სახელმძღვანელოებისა და სასწავლო ნივთების შემოტანის საქმე. ახლოვდება ახალი სასწავლო წელი, ხოლო ტყიბულის რაიონის სკოლებში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. პარტიის ტყიბულის რაიკომმა და მშრომელთა დეპუტატების ტყიბულის რაისაბჭოს აღმასკომმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ავამაღლოთ პროფჯგუფორგეის როლი საწარმოში

პროფჯგუფორგების საქალაქო შეკრება

საქართველოს სამკერვალო და სატრიკოტაჟო მრეწველობის მუშათა პროფესიული კავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა 12 აგვისტოს მოაწყო თბილისის სამკერვალო და სატრიკოტაჟო საწარმოების პროფჯგუფორგთა საქალაქო შეკრება, რომელსაც პროფჯგუფორგებს გარდა დაესწრნენ დაზღვევის დელეგატები და საფაბრიკო კომიტეტების წევრები.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა სსრკ კავშირის სამკერვალო და სატრიკოტაჟო მრეწველობის მუშათა პროფესიული კავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ. ა. რიადჩიკოვამ, რომელმაც გაამუქა შეკრების დანიშნულება და ამოცანები.

პროფჯგუფორგის მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული საამქროს წარმატება, საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებს სწორედ ის საამქროები აღწევენ, სადაც პროფჯგუფორგებმა კარგად მოაწყეს მუშაობა, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მუშა-მოსამსახურეთა შორის, დარაზმეს ისინი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვისა, მოწყობილობის შეუფერხებელი მუშაობისა და წარმოების კულტურის ამაღლებისათვის საბრძოლველად.

კარგად მუშაობენ პროფჯგუფორგები მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკისა და სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში. თავიანთი მუშაობით ისინი ხელს უწყობენ ამ საწარმოთა. დაწინაურებას, მათ განუხრელ საწარმოო აღმავლობას.

მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის მეორე საამქროს პირველ აგრეგატში პროფჯგუფორგად მუშაობს მ. პაპინაშვილი. ამ საამქროს 28 მუშიდან 16 სტახანოველია. ყველა მუშა დიდი გადაჭარბებით ანაღდებს ნაკისრ ვალდებულებებს. ბრიგადამ პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება, ვალდებულებით ნაკისრი 92 პროცენტის ნაცვლად, 100 პროცენტამდე გაზარდა.

სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოტონის საამქროში პროფჯგუფორგად მუშაობს სტახანოველი ა. იაბლონსკაია. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის საბრძოლველად მუშა-მოსამსახურეთა დარაზმვას, საშეფო ორგანიზაციებთან ერთად ორსამ ჩარჩოს დგამს და დავალებას ორასი პროცენტით ასრულებს.

აგვისტოში დაწინაურდნენ და ქვანახშირის ვაგონებში ჩატვირთვის ყოველდღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ მეოთხე უბნის ახალგაზრდა მტვირთავები ვლ. გვეტაძე და ვ. ბაბუხადია.

ძველი, გამოცდილი მეშახტეები თავიანთ მდიდარ გამოცდილებას, მუშაობის მოწინავე მეთოდებს აცნობენ ახალგაზრდა მეშახტეებს და ამით ხელს უწყობენ საერთო აღმავლობას.

მანქანათმშენებელთა პირობა

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ივნისის ბოლო რიცხვებში სამთომანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა იკისრა მეშახტის დღისათვის შესრულოს ქარხნის ხუთწლიანი გეგმა.

ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის კოლექტივი ერთსულოვნად დაირაზმა. შეჯიბრებაში მონაწილეობს თვითეული საამქრო, ბრიგადა და მუშა, გამოცხადებულია რაციონალიზატორულ წინადადებათა შეგროვების ერთთვიური, ამ მიზნით გამოყოფილმა კომისიამ უკვე მიიღო განსახორციელებლად ათამდე საქმიანი წინადადება.

დაიწყო ქარხნის ტერიტორიისა და მისასვლელი გზების წესრიგზე მოყვანა. გათვალისწინებულია ამისათვის სამჯერ მოეწყოს კვირაობა.

მეშახტის დღისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა სამავშვო ბაღი, ამბულატორია და საერთო საცხოვრებელი 250 კაცისათვის. საქარხნო ბიბლიოთეკა შეივსება 70 ათასი მანეთის ლიტერატურით, რედიოფიცირებულ იქნება ყველა საამქრო და მუშათა საცხოვრებელი ბინები.

28 აგვისტოს ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში, სადაც ჩატარდება მეშახტის დღისადმი მიძღვნილი დღესასწაული, მოეწყობა ქარხნის პროდუქციის გამოფენა და მანქანათმშენებელთა წარმატების ამსახველი დიაგრამები.

ტექნიკური გაუმჯობესებანი ფეხსაცმლის წარმოებაში

თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში ათობით კონვეიერი მუშაობს, ასობით რთულ და ძნელავრ დაზგა-დანადგარზე ყოველდღიურად ათასობით ფეხსაცმელს ამზადებენ. ფეხსაცმლის ამ საწარმოში ტექნიკური გაუმჯობესებისა, ცალკეულ აგრეგატთა სრულყოფისა და მოწყობილობის ნაყოფიერების გადიდებისათვის ენერგიულად მუშაობენ მოწინავე სპეციალისტები და ნოვატორი მუშები.

საგამომცემლო საამქროში ათვისებულ სპეციალური გადამკეცი მანქანა „ზიგ“ და ტვიფრები ფეხსაცმლის ზედაპირის პერფორაციისათვის. ამით განხორციელდა იმ ოპერაციათა მექანიზაცია, რაც წინათ ხელით სრულდებოდა, და მნიშვნელოვნად შემცირდა საწარმოო ციკლი. ამავე მიზნით ადგილობრივ დაამზადეს და საკერავ კონვეიერზე დააყენეს ფეხსაცმლის ქუსლის ცხელი გადაჭიმვის პნევმატიკური მანქანა, რომელიც ერთდროულად ორ პარალელურ ნაკერს ავლებს.

ამჟამად ფაბრიკის სპეციალისტები მუშაობენ ფეხსაცმლის ქუსლის ცხელი მეთოდით გამომყვანი ახალი მანქანისა და ქუსლის მიმლერსმული პნევმატიკური მანქანის დასამზადებლად. გარდა ამისა, დაწყებულია მუშაობა ეულკანიზაციის მეთოდით ფეხსაცმლის ავტომატური სამკერვალო ხაზის კონსტრუქციის შესამუშავებლად.

საკოლმეურნეო სოფლების რადიოფიცირება

ოზურგეთი. (საკ. კორ.). რაიონის 15 კოლმეურნეობაში წელს დამთავრდა რადიოფესლის გაყვანა. ამჟამად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მუშაობა კიცხის, ხიდარის, ბაზალეთის, საღანძილის, ბაბისა და ღორეშის სასოფლო საბჭოებში შემავალი 22 კოლმეურნეობის რადიოფიკაციისათვის.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

დამნაშავეთა მფარველები გამომძიებლები არიან

ქობულეთის რაიონიდან სოფლიკრი გვატყობინებდა, რომ ლიმონ-მანდარინის ტრესტის ციხისძირის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი შ. ჯაფაღანია) ადგილი ჰქონდა დიდი სახელმწიფო თანხების გაფლანგვა-მითვისებას და მთელ რიგ სხვა დანაშაულებრივ მოქმედებას, რაც გამოძიებით დადასტურდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დამნაშავეები კვლავ დაუსჯელები არიანო.

წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს კ. პ. (ბ) ქობულეთის რაიკომს. როგორც რაიკომის მდივანი ამხ. ე. ტაკაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. საკითხი განხილულ იქნა რაიონული კომიტეტის ბიურო. „ზე. რაიკომის ბიურომ მეურნეობის დირექტორს შ. ჯალაღანიას დაადო პარტიული სახსენელი, ხოლო მეურნეობის დირექტორის მოადგილე ი. ბედია მოხსნა სამუშაოდან და დაავალა სათანადო ორგანოებს მისცენ იგი პასუხისგებაში.

მუშათა კლასი ჩინელი ხალხის მეთაურია

ლიუ ნინ-ი

სრულიად ჩინეთის შრომის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი
პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი

★

მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ რუსეთში ჩინეთის მუშათა კლასმა და მთელმა ჩინელმა ხალხმა ნახეს თავიანთი გზა განთავისუფლებისაკენ და ისწავლეს, თუ როგორ დაეჯწიათ თავი იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის უღლისაგან. 1921 წელს შეიქმნა ჩინეთის კომუნისტური პარტია—ჩინეთის მუშათა კლასის ავანგარდი. ამ მომენტიდან დიდ ქალაქებში მეზღვაურთა, რკინიგზელთა და მეშახტეთა შორის იწყება მუშათა მოძრაობის განვითარება: 1921 წელს ჰონკონგში გაფიცვა მოაწყეს მეზღვაურებმა, 1923 წლის 7 თებერვალს დიდი გაფიცვა მოაწყეს რკინიგზელმა მუშებმა. თუმცა ჩინეთის მუშათა კლასი შედარებით ახალგაზრდა იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მან მალე შეახამა თავისი ეკონომიური ბრძოლა პოლიტიკურ ბრძოლასთან და ხანგრძლივი დროის მანძილზე მამაცურად იბრძოდა იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ხელმძღვანელობდა ჩინეთის კომპარტია. იგი სათავეში ედგა ჩინეთის 1925-1927 წლების დიდ რევოლუციას, მოძრაობას ჩინეთში საბჭოების შესაქმნელად, რამაც 10 წლის პერიოდი მოიცვა, და იაპონელთა წინააღმდეგ რვაწლიან ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ომს. დღეს კომპარტია ხელმძღვანელობს ნაციონალურ-განმათავისუფლებელ ბრძოლას ამერიკის იმპერიალიზმისა და ჩანკაი-შის წინააღმდეგ.

1945 წელს საბჭოთა არმიამ გაანადგურა იაპონიის ფაშიზმი და ამრიგად შესაძლებლობა მისცა ჩინეთის რევოლუციას უფრო სწრაფი ტემპით განვითარებულიყო. ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ უკვე ბევრი პატარა და საშუალო ქალაქი გაათავისუფლა. ამას წინათ მან გაათავისუფლა აგრეთვე მთელი რიგი დიდი ქალაქები. ამ ფაქტმა საჭირო გახადა, რომ რევოლუციური ბრძოლის ცენტრი სოფლიდან ქალაქად გადატანილიყო. ამ მუშაობის პროცესში ჩვენ უდიდეს სიძნელეებს წავაწყდით. მაგრამ ვინაიდან თავიდანვე ჩინეთის კომპარტია მისდევდა საბჭოთა კავშირის რევოლუციურ გზას, მას უნარი აღმოაჩნდა სათავეში ჩასდგომოდა ჩინეთის მუშათა კლასს და გადაელახა ყველა ეს სიძნელე. ვათავისუფლებდით რა დიდ ქალაქებს და აღვადგენდით რა იქ მტრის მივრ დანგრეულ წარმოებას, ჩვენ დროდადრო ვჯამებდით ჩვენს გამოცდილებასა და მიღებულ გაკვეთილებს და ვძლევდით ნაკლოვანებებს. ამან მტკიცე ბაზა შეუქმნა ჩვენს ახლანდელ მუშაობას ჩინეთის უდიდესი ქალაქების განთავისუფლებისა და აღდგენის დარგში.

1948 წლის აგვისტოში ხარბინში შედგა სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა VI კონგრესი. კონგრესმა ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ ჩვენი მიზანია მთელი ჩინეთის მუშათა კლასის გაერთიანება იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის მთლიანად გასანადგურებლად და ახალი ჩინეთის ასაშენებლად. კონგრესმა დასახა მუშათა მოძრაობის მოქმედების ნათელი და კონკრეტული ხაზი, როგორც განთავისუფლებულ რაიონებში, ისე გომინდანის კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიაზე. განთავისუფლებულ რაიონებში პროფკავშირთა მთავარი ამოცანა ის არის, რომ ასწავლონ მუშებს და დარაზმონ ისინი შრომის ნაყოფიერების გადიდების მიზნით და ამით დახმარება გაუწიონ ფრონტს. გომინდანის კონტროლქვეშ მყოფი ქალაქების მუშების მოვალეობაა თავიანთი მოქმედების კოორდინირება სახალხო არმიასთან, რათა მათ ხელი შეუწყონ ქალაქების გეგმიან და სწრაფ განთავისუფლებასა და აღდგენას.

* * *

დიდი ქალაქის განთავისუფლების წინ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილება სპეციალურ მომზადებას გადიან. ასეთი მომზადების მიზანია იმ პოლიტიკის განმარტება, რომელიც უნდა განხორციელდეს ქალაქში იქ შესვლის შემდეგ. უკვე წინასწარ მზადდებოდა საკმაო რაოდენობის კადრები და იქმნებოდა მმართველობის ორგანოები საზოგადოებრივი ცხოვრების, მრეწველობისა და ვაჭრობისადმი კონტროლის განსახორციელებლად. განთავისუფლებული ქალაქებისა და რაიონების უნარიანი მუშებიდან ყალიბდებოდა მუშათა ჯგუფები. იმ ქალაქის პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა, რომელიც უნდა გაგვენთავისუფლებინა, აგრეთვე ქალაქის საწარმოთა მდგომარეობა ფართო გამოკვლევის საგანი ხდებოდა. მუკდენის განთავისუფლების მომენტში იქ გაიგზავნა მუშათა ჯგუფებში გაერთიანებული 4.500 მუშა. ეს გამოცდილება კვლავ იქნა გამოყენებული ტიანძინის განთავისუფლებისას. ამ ქალაქის განთავისუფლების წინა დღეს ჩვენ ამომწურავი ცნობები მივიღეთ იქ არსებული მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, ტიანძინში „ჩაინა ტექსტაილ კოოპერეიშნის“ საწარმოთა მიღებამდე, რომლებშიც 26 ათასი მუშა ითვლება, ჩვენ უკვე გვქონდა მათი მოწყობილობისა და საწყობების განლაგების გეგმა, მათი საწარმოო პროცესების სქემა და შტატის სია, მათი ხელმძღვანელების ბიოგრაფიებიც კი. ჩვენ კარგად ვიცოდით, თუ რომელი გომინდანური ორგანიზაციები, საშინაო შპიონაჟის რა სპეციალური სისტემა არსებობდა საწარმოებში და ამ რეაქციული ორგანიზაციების მთავარ ხელმძღვანელთა ფოტოსურათებიც ვი გვქონდა.

ტიანძინის განთავისუფლების წინ ქალაქის ყველა საწარმოში მოეწყო „საწარმოს დაცვის ჯგუფები“. გარდა ამისა არალეგალურმა დემოკრატიულმა პროფკავშირებმა გამოყვეს აქტიური მუშები მჭიდრო კონტაქტის დასამყარებლად განმათავისუფლებელ არმიასთან ქალაქგარეთ და იმისათვის, რომ არმიისათვის ეცნობებიათ მდგომარეობა ქალაქში. ამან შესაძლებლობა მისცა განმათავისუფლებელ არმიას წარმატებით შესულიყო საწარმოებში და მოეწყო მათი სწრაფი მიღება. მაგალითად, როცა განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები მივიდნენ ტიანძინში „ჩაინა ტექსტაილ კოოპერეიშნის“ საწარმოთა № 1 ფაბრიკასთან, ამ ფაბრიკის მუშებმა ყოველივე შესაძლებელი გააკეთეს, რათა დაერწმუნებინათ გომინდანის ჯარები იმაში, რომ მალე დაეყარათ იარაღი. როცა ჯარებმა თანხმობა განაცხადეს, მუშები, სროლის მიუხედავად, ხიხვით მივიდნენ განმათავისუფლებელი არმიის მოწინავე ხაზთან, რომელიც ფაბრიკიდან 2 კილომეტრზე მდებარეობდა და აცნობეს, რომ გომინდანის ჯარები მზად არიან დანებდნენ. ამან ხელი შეუწყო განმათავისუფლებელი არმიის ნაწილების წინსვლას და ამავე დროს ფაბრიკა დაგრევისაგან იხსნა.

მრავალი ამგვარი მამაცური მოქმედება იყო შანხაის განთავისუფლებისას. მაგალითად, როცა შანხაიდან გაქცევის წინ გომინდანელი ბანდიტები შეეცადნენ ჩინეთის უდიდესი გემთმშენებელი ქარხნის „ჩან ნანის“ შანხაიდან ფორმოზაზე ევაკუირებას, მუშებმა ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალთან და მოსამსახურეებთან ერთად უარი თქვეს ამის გაკეთებაზე. გომინდანელი ბანდიტები იძულებული იყვნენ ქარხანაში ჯარები გაეგზავნათ, რათა გამოეტანათ მოწყობილობა, მაგრამ მუშებმა მანქანების მნიშვნელოვანი ნაწილები მიწაში ჩაფლეს და მხოლოდ ძველი მანქანები დაშალეს. გემზე მანქანების დატვირთვისას მუშებმა ისინი განზრახ უხესიგოდ დაწყეს, რის გამო 3 ათასი ტონა წყალწყვის გემმა მიიღო 1 ათას ტონაზე ნაკლები ტვირთი. გომინდანელი ბანდიტები ცდილობდნენ აგრეთვე მუშების ევაკუაციას ფორმოზაზე, რისთვისაც იყენებდნენ როგორც ძალას, ისე დაპირებას, რომ მათ ფულს მისცემდნენ. მაგრამ 4 ათასი მუშიდან მხოლოდ 200 კაცი წაიყვანეს ძალით ფორმოზაზე.

კომპარტიის ხელმძღვანელობით პროფკავშირებმა მუშები დარაზმეს პოლიტიკური საკითხების შესასწავლად და მუშების, როგორც ახალი საზოგადოების ნამდვილი ბატონ-პატრონების როლის გასარკვევად. მუშებს ასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა ქალაქებისა და ქარხნების მართვა, მოსახლეობის სხვა დემოკრატიული ფენების გაერთიანება ნაციონალური ეკონომიკის აღსადგენად. პროფკავშირებმა მოაწყეს მოკლევადიანი კურსები აქტივისტებისათვის და ჩაატარეს ლექციები ყველა მუშისათვის.

საწარმოთა მიღების დროს მუშები დემოკრატიული გზით ირჩევდნენ თავიანთ დელეგატებს საწარმოთა მმოეობი კომიტეტების მუშაობაში მონაწილეობისათვის. ახალი დემოკრატიული ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, ისინი მუშაობდნენ ყოფილი გომინდანური საწარმოების ქონების, შტატისა და დოკუმენტების შესამოწმებლად და მისაღებად. ყოფილ გომინდანურ ქარხნებში ყვაოდა ბიუროკრატიზმი. ადმინისტრაციის ზედაფენა ზოგჯერ საბოტაჟს ეწეოდა და მოტყუებასაც კი მიმართავდა საწარმოთა მიღების დროს. მაგრამ მუშების მხრივ კონტროლის შედეგად, ეს ინტრიგები ადვილად აღმოვნდებოდა. მაგალითად, ფუ შუნის (მანჯურია) ქვანახშირის შახტის მუშებმა აღმოაჩინეს, რომ გომინდანელმა თანამშრომელმა ფარულად გაიტანა საწარმოდან 70 ტონაზე მეტი გაუწმენდავი ნავთი. მათ იგი დააკავეს ნავთიანად. ბევრი ამგვარი შემთხვევა მოხდა სხვა ადგილებშიც.

პოლიტიკური თავისუფლების მიღების შემდეგ მუშები უდიდეს ინიციატივასა და პასუხისმგებლობის გრძნობას იჩენენ. ისინი აწყობენ მუშათა წარმომადგენლების კომიტეტებს და მონაწილეობენ საწარმოთა მართვაში. გომინდანელ მოხელეთა კორუპციის შედეგად მანქანებსა და მასალებს ძალიან ხშირად იტაცებდნენ ან სპობდნენ და ამიტომ მეტწილ ქარხნებს არ შეეძლოთ პროდუქციის გამოშვების დაწყება განთავისუფლებისთანავე. მაშინ გამოცახდდა მუშათა მობილიზაცია მანქანების შესაკეთებლად და დეტალებისა და მასალების შესაგროვებლად. ბევრმა მუშამ შინიდან მოიტანა მანქანების ძვირფასი და მნიშვნელოვანი ნაწილები, რომლებიც მათ გადანახული ჰქონდათ გომინდანის მმართველობის დროს. მაგალითად, პენ სის (მანჯურია) ქვანახშირის შახტის მუშებმა შეაგროვეს და ჩაბარეს მანქანების 247 ათასზე მეტი დეტალი, აგრეთვე სხვადასხვა მასალა. ამის შედეგად მეტმა წილმა საწარმოებმა ... შეძლეს წარმოების აღდგენა. შანხაში, მაშინ როცა ქალაქის ცენტრში ჯერ კიდევ ბრძოლა იყო, უკვე დამყარდა სატელეფონო კავშირი ბეიპინთან. რაც შეეხება რკინიგზის ქსელს, განთავისუფლებულ რაიონებში აღდგენილ იქნა 15.700 კილომეტრზე მეტი რკინიგზები.

დემოკრატიასა და თავისუფლებასთან ერთად ჩინელი მუშებისათვის უზრუნველყოფილი იყო არსებობის საშუალებანი. აღგილობრივი დემოკრატიული ხელისუფალნი მუშათა დელეგატებს იწვევდნენ მონაწილეობა მიეღოთ ცხოვრების დონისა და მუშათა ხელფასის კატეგორიების საკითხის გადაწყვეტაში. მანჯურიაში მუშათა საშუალო ხელფასი ამჟამად ერთიორად და უფრო მეტად აღემატება ხელფასს გომინდანის მმართველობის დროს. მანჯურიაში ხელფასის გადიდებასთან ერთად ამა წლის აპრილში დაიწყეს სოციალური დაზღვევის სისტემის შემოღება. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ფუ შუნის ქვანახშირის შახტი „ლუნ ფენი“, რომელშიც 4.200 მუშა მუშაობს. გომინდანის დროს მუშათა საშუალო თვიური ხელფასი უდრიდა 90 კეტის მარცვლეულს. ამჟამად საშუალო ხელფასმა მიაღწია 360 კეტის მარცვლეულს. შახტის 40-ზე მეტი მუშა მონაწილეობს მომზერალთა წრეში, 38—დრამატულ წრეში, 20-ზე მეტი—ჩინური ოპერის წრეში, 20-ზე მეტი — კალათბურთის გუნდში, 180 — „იანგ კოს“ (ხალხური ცეკვების წრე) ჯგუფში, 180-ზე მეტი—წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო წრეში და 380 ახალგაზრდა მუშა ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრია. შახტს აქვს თავისი საექიმო პუნქტი, შხაპი, საპარიკმახერო და სასადილო მუშებისათვის. მუშები უდიდესი ენთუზიაზმით მუშაობენ. გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა ექვსჯერ გაიზარდა გომინდანური წარმოების დონესთან შედარებით.

ქალაქების განთავისუფლების შემდეგ უდიდესი ყურადღება ექცევა მუშების სწავლას. ამჟამად ბევრი მუშათა სკოლაა, მაგალითად, მუშათა პოლიტიკური კოლეჯი მუკდენში, ჩრდილოეთ ჩინეთის მუშათა სკოლა ტიანძინში, პოლიტექნიკური ინსტიტუტი და რკინიგზის სკოლა ხარბინში, სავაჭრო ინსტიტუტები პენ სისა და ფუ შუნში. ყველა ამ სკოლაში სწავლობს 6 ათასი მუშა. მანჯურიაში 4.431 რკინიგზელი მუშა დაწინაურებულ იქნა ადმინისტრაციულ სამუშაოზე და 648 — პროფკავშირულ სამუშაოზე. ხარბინის რკინიგზის საწარმოებში მთელი ადმინისტრაციული პერსონალის 90 პროცენტზე მეტი დაწინაურებული მუშებია. ამავე დროს მუშათა კლასი ბევრ რამეს აკეთებს, რომ თავის მხარეზე მიიზიდოს ტექნიკური ინტელიგენცია.

დიდ ქალაქებს რომ ვანთავისუფლებთ, ჩვენ ვსწავლობთ პრაქტიკული მუშაობის პროცესში. მთელ რიგ შემთხვევებში ჩვენ დავუშვეთ შეცდომები, რაც გამოიხატა, მაგალითად, ბიუროკრატიზმის გამოვლინებით, მუშათა საჭიროებისადმი არასაკმაო ყურადღებით, იმის ცდით, რომ საწარმოები ემართოთ სოფლად გამოყენებული მეთოდების მეშვეობით, მუშათა ინიციატივისა და შემოქმედებითი შესაძლებლობისადმი არასაკმაო ყურადღებით. მაგრამ პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ მაო ძე-დუნის მეთაურობით ყველა ეს შეცდომა სწრაფად იქნა გამოსწორებული. ჩვენ მუდამ ვაჯამებთ ჩვენი მუშაობის შედეგებს და ვაკრიტიკებთ ერთმანეთს მასობრივ კრებებზე და წარმოებისადმი კონტროლის კომიტეტებში, რომლებიც შედგენილია კომუნისტების, ადმინისტრაციისა და პროფკავშირთა წარმომადგენლებისაგან.

დღემდე ჩვენ კიდევ განვიცდით ბევრ სიძნელეს, ისეთებს, როგორიცაა კადრებისა და გამოცდილების ნაკლებობა. ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ არ არის საკმაო კოორდინაცია ნედლეულის მომარაგებასა და პროდუქციის გამოშვებაში. ეს სიძნელეები რომ დავძლიოთ, ჩვენ უფრო მეტად უნდა ავითვისოთ საბჭოთა კავშირის გამოცდილება. ფაქტები მოწმობენ, რომ იქ სადაც ითვალისწინებენ საბჭოთა კავშირის გამოცდილებას, შედეგები ყოველთვის კარგია. მაგალითად, ჩვენ შემოვიღეთ რკინიგზების მართვის საბჭოთა მეთოდები, რის შედეგადაც უდიდეს პროგრესს მივაღწიეთ ტვირთების გადაზიდვაში.

თუმცა ჯერ კიდევ ბევრი სიძნელე არსებობს, მაგრამ ჩვენ უნარი შეგვწევს, საბჭოთა კავშირის დახმარებაზე, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გამოცდილებაზე და მთელი მსოფლიო მუშათა კლასის მხარდაჭერაზე დაყრდნობით, დავძლიოთ ისინი. ამხანაგ მაო ძე-დუნის მუდმივი ხელმძღვანელობით ჩინეთის მუშები იბრძვიან საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადის ამხანაგ სტალინის დროშით, და დღეს ისინი მიდიან ახალი ჩინეთის მშენებლობის გზით, საკუთარი დარწმუნებულნი თავიანთ საბოლოო გამარჯვებაში.

(გაზეთი „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“ № 15).

უცხოეთის გამოხმაურება იუგოსლავიის მთავრობის ნოტაზე საბჭოთა მთავრობის პასუხის გამო

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 13 აგვისტო. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილას და დიდი სათაურებით აქვეყნებს დღეს საბჭოთა მთავრობის პასუხს იუგოსლავიის მთავრობისადმი. სათაურებში პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტიტოს ხროვა იუგოსლავიის ხალხებისა და სსრ კავშირის მტერია. პრესა აქვეყნებს აგრეთვე პასუხის დანართს — კარდელის წერილს ამხანაგ ვიშინსკისადმი.

გაზეთი „რუდე პრავო“ სარედაქციო სტატიაში წერს, რომ სსრ კავშირის მთავრობის პასუხი საესებით აშკარავებს მთელ ფარისევლობას იუგოსლავიის მმართველებისას, რომლებიც ჯერ კიდევ ცდილობენ იუგოსლავიის ხალხების წინაშე შეასრულონ სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების „შეგობართა“ როლი, ტიტოს ხროვა, წერს გაზეთი, იმპერიალიზმის ერთ-ერთი მთავარი ციხეა გახდა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში. იმას საესებით ადასტურებს იუგოსლავიის მთავრობის მოქმედება ჩეხოსლოვაკიის მიმართ. თვალთმაქცურად აცხადებს რა საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი „სიყვარულსა და შეგობრობას“, იუგოსლავიის მთავრობა ნამდვილად ნიღბავს თავის კავშირს ვაშინგტონელ დოლარიან ვაჟბატონებთან.

საბჭოთა მთავრობის პასუხი ბოლოს უღებს ტიტოს ხროვის ორმაგ თამაშს, ხროვისას, რომელსაც სურს თავისი გამცემლობა დაფაროს ცრუ განცხადებით იმათადმი შეგობრობის შესახებ, ვინც მან გასცა. იუგოსლავიის ხალხები უკვე ხვდებიან, რომ მთავრობა, რომელმაც ფოლარებზე გაყიდა თავი, საბჭოთა კავშირის და მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკის მეგობარი არ არის. იუგოსლავიის ხალხები ხვდებიან, რომ მთავრობა, რომელმაც უღალატა სოციალიზმის საქმეს, პროგრესისა და მშვიდობის საქმეს, მათი საკუთარი მტერიც არის.

ბულგარეთი

სოფია, 14 აგვისტო. (საკდესი). ბულგარეთის გაზეთებმა სრულად გამოაქვეყნეს საბჭოთა მთავრობის პასუხი იუგოსლავიის მთავრობისადმი.

დღეს ყველა გაზეთმა მოწინავე სტატია უძღვნა ამ საკითხს.

გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“ წერს: „საბჭოთა მთავრობის ნოტა საესებით აშკარავებს იუგოსლავიაში გაბატონებული ტიტოს გამცემლური ხროვის ყალბ და ორპირ პოლიტიკას. ბელგრადელ ცილისმწამებელთა მიზანია ჩამოაშორონ იუგოსლავიის ხალხები დიდ განმათავისუფლებელს — საბჭოთა კავშირს. ბელგრადელი მესვეურები ავსტრიაში მეტოვრეს სლოვენ უმცირესობას ხურდა ფულად იყენებენ, რათა იმპერიალისტების გული მოიგონ, ტერორისა და ცენზურის მიუხედავად, იუგოსლავიის ხალხები შეიტყობენ საბჭოთა მთავრობის ნოტის შინაარსს და სათანადო დასკვნებს გამოიტანენ“.

გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი“ მოწინავე სტატიაში აღნიშნავს, რომ „ტიტოელები იუგოსლავიელი ხალხის ინტერესებით ნამდვილი მოვაჭრენი გახდნენ.“

„საბჭოთა მთავრობის პასუხი, — აცხადებს გაზეთი, — ამხილებს ორპირთა, რომლებიც კაპიტულაციას ამდენენ თავიანთი იმპერიალისტი ბატონების წინაშე და უბადრუკი გულუბრყვილობით ცდილობენ თავიანთი საკუთარი პასუხისმგებლობა და დანაშაული საბჭოთა პოლიტიკას გადააბრალონ“.

პოლონეთი

ვარშავა, 14 აგვისტო. (საკდესი). პოლონეთის გაზეთები კვლავ აქვეყნებენ იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის პასუხის კომენტარებს.

იუგოსლავიის პოლიტიკის ხელმძღვანელთა ჯგუფი, წერს გაზეთი „რეჩ პოსპოლიტა“, სულ უფრო მეტად და უფრო სწრაფი ტემპით გადადის მტრის ბანაკში. პროპაგანდის მიზნებისათვის იუგოსლავიის ხელმძღვანელები ხანდახან ახსენებენ იმპერიალიზმის მუქარასა და საფრთხეს. მაგრამ მთავარ და ერთადერთ მტრად მათ მიაჩნიათ საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები.

ტიტოს მთავრობას ესმის, რომ საბჭოთა კავშირს წინააღმდეგ აშკარა გამოსვლას შეიძლება საბედისწერო შედეგები მოჰყვეს მისთვის, რადგან იუგოსლავიის ხალხი დიდად აფასებს საბჭოთა კავშირს და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მეგობრობას. საბჭოთა ნოტა საესებით აშკარავებს იუგოსლავიის ხალხის წინაშე ტიტოიზმის ხასიათს და ცხადყოფს, რომ საინფორმაციო ბიუროს რეზოლუცია დემოკრატიული ბანაკიდან იუგოსლავიის მთავრობის ჩამოშორების მიზეზი კი არ იყო არამედ იმ ორეოფული პოლიტიკის შედეგი იყო, რომელსაც ეს მთავრობა ამ რეზოლუციის მიღებამდე დიდი ხნით ადრე ეწეოდა. სსრ კავშირის მთავრობა, აღნიშნავს გაზეთი „ჟურიერ ცოძენი“, ერთმანეთში როდი რევს იუგოსლავიასა და მის ხალხს. ამ ორი ცნების გამიჯვნა ნათლად არის ნაჩვენები უკანასკნელ ფრაზაში, რომელიც ნოტის მთელი შინაარსის ლოგიკური დასკვნა ხდება: „იცოდეს იუგოსლავიის ხალხებმა, რომ საბჭოთა მთავრობას იუგოსლავიის ახლანდელი მთავრობა მიაჩნია საბჭოთა კავშირის არა მეგობრად და მოკავშირედ, არამედ მის მტრად და მოწინააღმდეგედ“.

ეს ფრაზა შეიცავს იუგოსლავიის მთავრობისა და ამ მთავრობის მიერ მოტყუებული იუგოსლავიელი ხალხებისადმი საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების მთელ არსს.

ყველა გაზეთი აქვეყნებს აგრეთვე „პრავდის“ სტატიას „ნიღბი ჩამოგლეჯილია“.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 13 აგვისტო. (საკდესი). ყველა დღეგანდელი გაზეთი აქვეყნებს სლოვენიის კარინტიის საკითხზე იუგოსლავიის მთავრობისათვის საბჭოთა მთავრობის მიერ გაგზავნილი პასუხის სრულ ტექსტს.

„საბად ნეპი“ სათაურში წერს: „საბჭოთა ნოტა იუგოსლავიის მთავრობისადმი სლოვენიის კარინტიის საკითხში ტიტოელთა ორპირული პოლიტიკისა და გამცემლობის შესახებ“. „ნეფსაბა“ სათაურში წერს: „საბჭოთა კავშირის სპასუხო ნოტა აშკარავებს ტიტოელთა გამცემლობას სლოვენიის კარინტიის საკითხში“.

რუმინეთი

ბუქარესტი, 13 აგვისტო. (საკდესი). რუმინული გაზეთები პირველ გვერდებზე ათავსებენ იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის იმ პასუხის სრულ ტექსტს, რომელიც ეხება იმას, თუ რა პოზიცია უჭირავს სსრ კავშირს ავსტრიისადმი იუგოსლავიის მოთხოვნების მიმართ ავსტრიის ხელშეკრულების პროექტის განხილვასთან დაკავშირებით.

გერმანია

ბერლინი, 14 აგვისტო. (საკდესი). დღევანდელი გაზეთები კვლავ დიდ ყურადღებას აქცევენ იუგოსლავიის ნოტაზე საბჭოთა მთავრობის პასუხს, რაც ბერლინის პრესაში 13 აგვისტოს გამოქვეყნდა. ბერლინის საბჭოთა სექტორის დემოკრატიული გერმანული პრესა აღშფოთებას გამოთქვამს ტიტოს ხროვის ორპირული, გამცემლური პოლიტიკის გამო. დასავლეთი სექტორების პრესა, რომელიც ინგლისელებისა და ამერიკელების ლიცენზიით გამოდის, ზოტკას ასხამს იუგოსლავიის ხალხების ინტერესების მოღალატეთა ამ ხროვას. დამახასიათებელია, რომ დასავლეთ გერმანიის ზოგიერთმა გაზეთმა, კერძოდ ამერიკულმა გაზეთმა გერმანელი მოსახლეობისათვის „დი ნოიე ცაიტუნგმ“. პირველ გვერდზე მოათავსა ტიტოს პორტრეტი.

იუგოსლავიის მთავრობის ნოტაზე საბჭოთა მთავრობის პასუხის ტექსტი ძალიან ან შინაარსის დაწვრილებით გადმოცემით გამოქვეყნებულია საბჭოთა სექტორის ყველა გაზეთში. გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ ბეჭდავს ასეთ სათაურს: „ტიტოს ორპირული თამაში და გამცემლობა“. „ბერლინერ-ცაიტუნგის“ სათაურში ნათქვამია: „ტიტო ატყუებს იუგოსლავიას“. პროფაკავშირული გაზეთი „ტრიბუნე“ სათაურში იუწყება: „საბჭოთა მთავრობის მკაცრი პასუხი ბელგრადისადმი“. გაზეთი „ნაციონალ-ცაიტუნგი“ წერს: „ტიტოს მთავრობა საბჭოთა კავშირის მტერია“. ლიბერალურ გაზეთ „დერ მორგენს“ სათაურში მოჰყავს იუგოსლავიის მთავრობის ის დახასიათება, რაც მოცემულია საბჭოთა პასუხში: „არა მეგობარი და მოკავშირე, არამედ მტერი და მოწინააღმდეგე“.

გაზეთი „ბერლინერ ცაიტუნგი“ დღეს ათავსებს მოწინავე სტატიას სათაურით: „ტიტო და ჩერჩილი“, სადაც აღნიშნულია, რომ საბჭოთა მთავრობის პასუხი სავსებით გამოაშკარავა იუგოსლავიის მმართველთა გამცემლობა, რომლის შესახებაც გასული წლის ივნისში ლაპარაკი იყო კომუნისტური პარტიების საინფორმაციო ბიუროს ცნობილ რეზოლუციაში. „ახლა დამტკიცებულია,—წერს გაზეთი,—რომ იუგოსლავიის ხელმძღვანელები უკვე რამდენიმე წლის მანძილზე ეწეოდნენ საზიზღარ ორმაგ თამაშს—მარგინალურად მეგობრობა ჰქონდათ საბჭოთა კავშირთან და სოციალიზმის ბანაკთან, ფარულად კი გარიგებებს დებდნენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან“.

შემდეგ „ბერლინერ ცაიტუნგი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან იუგოსლავიის ხელმძღვანელთა თანამშრომლობის გამოაშკარავების ფაქტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. გაზეთი აცხადებს: „ახლა იბადება კითხვა: რა „კომპენსაციის“ ფასად მოიგიგდნენ ტიტო და კარდელი ინგლისელებს. იქნებ ინგლისელებს ტიტოზე და იუგოსლავიის სხვა ხელმძღვანელებზე ზეგავლენის საშუალებები აქვთ? როგორც ცნობილია, ინგლისის უმაღლესი თანამდებობის იფიცრებს, და მათ შორის ყბადაღებული ანტისაბჭოთა პროპაგანდისტს—ჩერჩილის შვილს, ჯერ კიდევ ომის დროს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ტიტოსთან. მაშინ ინგლისელები ტიტოს იარაღსაც აწვდიდნენ. როცა 1944 წლის ოქტომბერში ინგლისელები საბერძნეთში გადასხდნენ და ჯერ კიდევ არ იცოდნენ შეძლებდნენ თუ არა იქ ფეხის მოკიდებას, მაშინ იმისათვის, რომ სალონიკი ბერძენი ანტიფაშისტების ხელში არ გადასულიყო, იარაღს აწვდიდნენ ტიტოს მაყედონელ აგენტებს. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა: აიღო თუ არა უკვე მაშინ ტიტომ გარკვეული ვალდებულებანი ინგლისელი იმპერიალისტების მიმართ? ჰქონდა თუ არა უკვე მაშინ ჩერჩილს საფუძველი ჩაეთვალა ტიტო იმპერიალისტური ბანაკის მოკავშირედ სსრ კავშირის წინააღმდეგ? აქ ხომ არ იმალება საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის საქმისადმი ტიტოსა და მისი ხროვის მოღალატეობის ფესვები, იმპერიალიზმთან ახლანდელ ბლოკის ფესვები?“

ამერიკულმა გაზეთმა „დი ნოიე ცაიტუნგმა“ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია, რომელშიც არ მალავს თავის კმაყოფილებას იმპერიალიზმის ბანაკში ტიტოს გადასვლის გამო და აცხადებს, რომ „იუგოსლავიის სახელმწიფო ხელმძღვანელობამ“ „ლოგიკურად უნდა ეძიოს კავშირი დასავლეთთან“ და რომ „დასავლეთთან იუგოსლავიის დაახლოება რეალური გარდუვალობაა“.

დასასრულ ამერიკული გაზეთი გადადის იმ მოთხოვნებზე, რომლებსაც დასავლეთი სახელმწიფოები ტიტოს წაუყენებენ, და „საერთო გარანტიებზე“, რომლებიც ტიტომ იმპერიალისტებს უნდა მისცეს.

საფრანგეთი

პარიზი, 13 აგვისტო. (საკდესი). პარიზის პრესა კომენტარს უკეთებს იუგოსლავიის მთავრობის ნოტაზე საბჭოთა მთავრობის პასუხს. რედ. მასალი „ფიგაროში“ წერს: ნამდვილად საბჭოთა ნოტამ მხოლოდ ოფიციალური და საბოლოო გახადა მოსკოვისა და ტიტოს ურთიერთობის გაწყვეტა. იმ განცხადებამ, რომ იუგოსლავიის მთავრობა ამერიდან მიჩნეულია სსრ კავშირის მტრად, შეიძლება გაძლიეროს თვით იუგოსლავიაში ტიტოსადმი მტრული მიმდინარეობანი.

„ლუმანიტე“ თავის კომენტარებში აღნიშნავს, რომ იმპერიალისტებს სურდათ გამოეყენებინათ ტიტო არა მარტო როგორც დაავიანთი ჩვეულებრივი მოკავშირე, არამედ როგორც ანტიიმპერიალისტურ ბანაკში მყოფი ნამდვილი აგენტიც. მაგრამ ანგარიშში მოტყუვდნენ: მათი აგენტი გაკოტრდა. ზოგიერთ პერიოდში და ევროპის ზოგიერთ რაიონში იმპერიალისტები და მათი აგენტები განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ. პროვოკატორთა მხილებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშვიდობის დაცვისათვის.

საბჭოთა მთავრობა უარს ამბობს იმაზე, რომ ხელი შეუწყოს იუგოსლავიის მთავრობის ორმაგ თამაშს და განზრახული აქვს ნათლად დაანახვოს იუგოსლავიის ხალხს, რომ მას ბელგრადის ახლანდელი მთავრობა სსრ კავშირის მტრად მიაჩნია, წერს გაზეთი „პარიზიენ ლიბერე“.

გაზეთი „პარი პრეს-ენტრასიჟანი“ კომენტარებს ათავსებს მთელ გვერდზე გადაჭიმული სათაურით: „საბჭოთა ნოტაში ნათქვამია, რომ იუგოსლავიის ახლანდელი მთავრობა სსრ კავშირის მტერია“.

პარიზი, 14 აგვისტო. (საკდესი). პარიზის ყველა გაზეთი კომენტარებს უკეთებს იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის პასუხს.

„საბჭოთა ნოტა ბელგრადისადმი, — წერს გაზეთი „ლუმანიტე“, — უცილობელი სიზუსტით განსაზღვრავს, რომ 1947 წლიდან იუგოსლავიის მთავრობა ორმაგ თამაშს ეწეოდა ავსტრიისადმი იუგოსლავიის ტერიტორიული მოთხოვნების საკითხში. ნამდვილად კი, სწორედ იმ მომენტში, როცა იუგოსლავიის მთავრობა სთხოვდა საბჭოთა კავშირს, ჩემს მოთხოვნებს მხარი დაუჭირეო, მან საიდუმლო მოლაპარაკების დროს თვითონ აიღო ხელი ამ მოთხოვნებზე. ამ მანევრის მიზანი აშკარა იყო — იუგოსლავიის ხალხის თვალში სსრ კავშირი დაესახა პასუხისმგებლად ამ უარისათვის, რომელზეც თვითონ დათანხმდა იუგოსლავიის მთავრობა, რათა უზრუნველეყო თავისთვის იმპერიალისტების წყალობა. ამ ორმაგი თამაშის გამოაშკარავებით საბჭოთა კავშირის მთავრობამ ცხადყო, რომ მას მუდამ ლოიალური პოზიცია ეკავა იუგოსლავიის ხალხებისადმი, რომლებსაც იუგოსლავიის მთავრობამ უღალატა. ბელგრადის მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ იმპერიალისტებს შეუთანხმებოდა, და სსრ კავშირთან მეგობრობის შესახებ განცხადებებით შენიღბავდა თავის გამცემლობას... საბჭოთა მთავრობამ, რომელმაც ნათლად განაცხადა, რომ მთავრობა, რომელიც ამგვარად იქცევა, მოკავშირე აღარ არის, საბოლოოდ ამხილა ტიტო. ნათელი პოზიცია, პირდაპირი ენა, რომლითაც საბჭოთა მთავრობა ლაპარაკობს, იმ დიპლომატიური ზრაკების ნამდვილი კონტრასტია, რომლებსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები იყენებენ; ეს პოზიცია და ენა დაეხმარება იუგოსლავიის ხალხებს ნიღაბი ჩამოგლეჯონ ბელგრადელ მოღალატეებს. საბჭოთა მთავრობას ამით წვლილი შეაქვს არა მარტო იუგოსლავიის ხალხის საქმეში, არამედ მშვიდობის საქმეშიც. იმ მომენტში, როცა ბელგრადის მთავრობა მონარქისტ-ფაშისტ პროვოკატორებს შეუთანხმდა მათს მოქმედებაში ალბანეთის წინააღმდეგ, ყოველგვარი ორაზროვნობა უნდა გაიფანტოს“.

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. (საკდესი). დღის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილას მოათავსეს ცნობები იუგოსლავიის მთავრობისათვის გაგზავნილი საბჭოთა ნოტის შესახებ.

გაზეთმა „ნიუ-იორკ ჰოსტმა“ ალფოიეტად პრესის სააგენტოს ცნობა საბჭოთა ნოტის შესახებ მოათავსა სათაურით, რომელიც აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობას საბჭოთა კავშირის მტრად მიაჩნია ტიტო.

ანალოგიური სათაურით აქვეყნებს ცნობას ვაშინგტონში გამომავალი გაზეთი „ტაიმს ჰერალდი“.

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო (საკდესი) გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნს“ პირველი გვერდის პირველ სვეტში მოჰყავს იუგოსლავიის მთავრობისათვის გაგზავნილი საბჭოთა ნოტის შინაარსი.

გაზეთი „ნიუ-იორკ დეილი ნიუსი“ ფარისევლურ გაკვრვებას გამოქვამს საბჭოთა ნოტის „გულახდილობის“ გამო. გაზეთი არ თარავს, რომ ქმაყოფილია ტიტოს ხროვის გამცემლური პოლიტიკისა.

ინგლისი

ლონდონი, 13 აგვისტო. (საკდესი). „ტაიმსი“ მეოთხედ სვეტს უთმობს იუგოსლავიის მთავრობისათვის საბჭოთა მთავრობის მიერ გაგზავნილი პასუხის შინაარსს. სათაურში ნათქვამია: „რუსების მტკიცე ნოტა იუგოსლავიის მთავრობისადმი“.

„მანჩესტერ გარდიანის“ დიპლომატიური მიმოსილველი ფიქრობს, რომ „ამ ნოტის მკვეთრი კილო ჩვეულებრივ დიპლომატიურ პრაქტიკაში წინ უნდა უსწრებდეს დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას“, მაგრამ ჯერ კიდევ ძალან ადრეა იმის თქმა, მოხდება ეს თუ არა და „მიღწეულია თუ არა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობაში ახალი მობრუნების პუნქტი“.

„დეილი გრაფიკი“ წერს: „ტიტომ, რომელიც ჩვეულებრივად იუგოსლავიის საელჩო გემებს მოსკოვში აბოვეედა, გასულ კვირაში ლონდონის სიტის მიმართა“.

გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა ნოტა „ოფიციალურად“ ეხება სლოვენიის კარინტიის საკითხს, და წერს, რომ ნამდვილად იგი ტიტოსა და სსრ კავშირს შორის არსებული ხანგრძლივი კონფლიქტის კულმინაციური მომენტია, „იგი, უეჭველია, მომართულია ტიტოს და მის მომხრეთა წინააღმდეგ, აგრეთვე იმისაკენ, რომ გაყვანილ იქნას ზღვარი მათსა და იუგოსლავიის ხალხს შორის“.

დასასრულ ავტორი წერს: „საბჭოთა ნოტას რეალური დანიშნულებაა დაგვანახვოს ის, რომ, რუსეთის აზრით, დადგა დრო გაიფანტოს ყოველივე ეჭვი ტიტოსა და მისი მთავრობასთან რუსეთის ურთიერთობის საკითხში“. გზადაგზა გაზეთი ამართლებს ტიტოს გადასვლას იმპერიალიზმის აგენტების ბანაკში.

იუერი „დეილი ჰერალდში“ წერს, რომ იუგოსლავიასა და რუსეთს შორის ურთიერთობა თითქმის გაწყვეტამდეა მისული.

მხოლოდ გაზეთ „დეილი უორკერს“ მოჰყავს კარდელისა და ა. ი. ვიშინსკის მიმოწერის ძირითადი ნაწყვეტები.

რეიტერის სააგენტო ავრცელებს ცნობას თავისი მოსკოველი კორესპონდენტისას, რომელიც აღნიშნავს, რომ 12 აგვისტოს სსრ კავშირმა დაგმო იუგოსლავიის მთავრობა, როგორც „საბჭოთა კავშირის მტერი და მოწინააღმდეგე“.

საბჭოთა ნოტა ბომბს „იუგოსლავიის ახლანდელ მთავრობას,“, როგორც მთავრობას, რომელიც აღარ არის „მეგობარი და მოკავშირე“, არამედ დაკავშირებულია „უცხოელი კაპიტალისტების ბანაკთან“.

საბჭოთა მთავრობა, ხაზგასმით აღნიშნავს რეიტერის სააგენტო, ბრალად სდებს იუგოსლავიის მთავრობას, რომ თვი „სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკიდან უცხოეთის კაპიტალისა და რეაქციის ბანაკში გადაბარგდა“.

იტალია

რომი, 12 აგვისტო. (საკდესი). რომის გაზეთებმა მოკლე ცნობები გამოაქვეყნეს იუგოსლავიის მთავრობისადმი სსრ კავშირის მთავრობის პასუხის შესახებ.

რომი, 14 აგვისტო (საკდესი) რომის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა ცნობები იუგოსლავიის მთავრობისადმი საბჭოთა მთავრობის პასუხის შესახებ.

გაზეთი „ავანტი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა დოკუმენტი ამხილებს ტიტოს ორმაგ თამაშს და ინგლის-იუგოსლავიის საიდუმლო მოლაპარაკებას ავსტრიის საზავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით“.

გაზეთმა „უნიტამ“ ცნობა მოათავსა შემდეგი სათაურით: „იუგოსლავიის მთავრობა იქცევა არა როგორც სსრ კავშირის მოკავშირე, არამედ როგორც მისი მტერი“.

გაზეთი „ტემპო“ პარიზიდან გადმოცემულ კორესპონდენციაში საბჭოთა ნოტასთან დაკავშირებით იხსენებს „ხმებს ამ საიდუმლო მოლაპარაკების შესახებ, რაც ვენაში წარმოებდა ამერიკის შეერთებული შტატების შტაბების უფროსების მისიასა და ტიტოს წარმომადგენლებს შორის“.

ჯიგოს გარიგება ინგლისთან

ლონდონი, 14 აგვისტო. (საკდესი). საკვირაო გაზეთმა „სანდი ემპა�ნიუსმა“, რომელიც მანჩესტერში გამოდის, თვალსაჩინო ადგილას მოათავსა ცნობა, რომ ტიტომ კვლავ სთხოვა ინგლისს იუგოსლავიაში რეაქტიულ თვითმფრინავების მშენებლობის ლიცენზიები. გაზეთის სიტყვით, ტიტომ ამ თხოვნით რამდენიმე ხნის წინათ უკვე მიმართა ინგლისს, მაგრამ მაშინ მას განუცხადეს, ეს შეუძლებელიაო.

გაზეთი ეხება ინგლის-იუგოსლავიის სავაჭრო მოლაპარაკებას და წერს, რომ საბოლოო დეტალები უნდა მოგვარებულიყო ამ კვირის ბოლოს და რომ შედეგად მოპოვებულ იქნება „დიდი დიპლომატიური გამარჯვება, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება აღმოსავლეთ ევროპის მიმართ სტრატეგიისათვის“.

გაზეთი წინასწარმეტყველებს, რომ ტიტოს ხროვა გააძლიერებს ტერორს იუგოსლავიის ხალხის წინააღმდეგ. და აღნიშნავს, რომ „ახლა, როცა გაწყვეტილია რუსეთთან უკანასკნელი კავშირი, ტიტო მზად არის ენერგიული ზომები მიიღოს მეზეთე კოლონის წინააღმდეგ“. იგი ასე უწოდებს იუგოსლავიის ახლანდელი მმართველი ხროვის ყველა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს.

იუგოსლავიის მთავრობა ორმაგი ოგბისა და დემოკრატიის ბანაკიდან აშკარად გადაბარგდა ახალი ომის გამჩაღებელთა და რეაქციონერთა ბანაკში.

(ზაჯეთეგიდან).

ბროზ ტიტო უოლ-სტრიტელ კავალერთა მაამებლის როლში.

ნახატი ი. ქოქიაშვილისა

ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის გახსნა ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 14 აგვისტო. (საკდესი). დღეს ბუდაპეშტში სახელმწიფო ვითარებაში გაიხსნა ახალგაზრდობის და სტუდენტობის მსოფლიო ფესტივალი.

უნგრეთის დედაქალაქის ყველაზე დიდი სტადიონი, რომელიც 50 ათას მაყურებელს იტევს, გაჭედილია ხალხით. მაყურებლები დგანან გასასვლელებში, მოედნის კიდეებზე, იყენებენ ყოველ ძტკაველ თავისუფალ მიწას.

სტადიონის ლოჟებში გამოჩნდნენ უნგრეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელები და ახალგაზრდობის საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელობა, რომლებსაც დამსწრენი მჭუხარე ტაშით შეხვდნენ.

მინლოროზე აღმართა ფესტივალის ალმი. იწყება პარადი. ფერად-ფერადი ეროვნული კოსტიუმებით გამოწყობილი მოდის ალბანეთის, ალჟირის, ავსტრალიის, ბელგიის, ინგლისის, ბულგარეთის, ბირმის, ჩეხოსლოვაკიის, ფინეთის, ს ერანეთის, მეგრძოლი საბერძნეთის, კეკეპროსის, ინდოეთის, ერაყის, კანადის, ჩინეთის, კოორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, მალაიის, აფრიკის ქვეყნების, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის, ნორვეგიის, იტალიის, რუმინეთის, რესპუბლიკური ესპანეთის, მადაგასკარის, ამერიკის შეერთებული შტატების, ბრაზილიის, პაიტის, ვიეტნამის, ტუნისის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდობა.

თვითეულ დელეგაციას დამსწრენი მჭუხარე ტაშით ხვდებიან. განსაკუთრებით გულთბილად, აოჩვეულებრივი ენთუზიაზმით შეხვდნენ საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგაციას. მისი გამოჩენისას ყველანი ფეხზე წამოდგნენ, დიდხანს გაისმის შეძახილები ხალხთა დიდი ბელადის — ი. ბ. სტალინის პატივსაცემად, გმირი საბჭოთა ახალგაზრდობის პატივსაცემად.

საბჭოთა ახალგაზრდობის კოლონის წინ მოაქვთ დიდი სტალინის უზარმაზარი ფერადი პორტრეტი. ფრიალეს ცისფერი დროშა სსრ კავშირის გერბით. სსრ კავშირის ხალხთა ეროვნული კოსტიუმებით გამოწყობილ საბჭოთა სპორტსმენებს მოაქვთ ალმები 16 საბჭოთა რესპუბლიკის გერბებით. საბჭოთა ახალგაზრდობის დელეგატები, რომლებიც აქ ჩამოვიდნენ, რათა აჩვენონ თავიანთი ოსტატობა და სპორტული მიღწევები, გამოწყობილი არიან თეთრი კოსტიუმებით. ქალიშვილებს ხელში აქვთ ყვავილების თაიგულები.

ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ მსოფლიოს 80 ქვეყნის წარმოგზავნილნი. და როცა სასპორტო მოედანი ჭაპეკებითა და ქალიშვილებით ივსო, სტადიონი უზარმაზარ ყვავილნარს დაემსგავსა.

პარადის მონაწილეთა თავზე აღმართულია დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ემბლემები. ტრიბუნის თავზეა ლოზუნგები: „გაუმარჯოს მუშა, გლეხი და სტუდენტი ახალგაზრდობის მეგობრობასა და თანამშრომლობას!“, „დაიცვათ მშვიდობა, ძირს ომის გამჩაღებლები!“

საკმარისია ერთხელ შეხედოთ სტადიონს, და მიხვდებით, რომ აქ მართლაც დიდი ამბავი ხდება, რომ ეს საერთაშორისო დღესასწაულია ახალგაზრდობისა, რომელიც მზად არის იბრძოლოს მშვიდობისათვის, უკეთესი მომავლისათვის. მართლაც ის, რომ დღესასწაულში მონაწილეობენ მსოფლიოს 80 ქვეყნის ახალგაზრდობის წარმომგზავნილნი, მოწმობს ფესტივალის უდიდეს წარმატებას. დედამიწის ყველა ნაწილის ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს ეს შეკრება — ახალგაზრდობის ძიერ ძმვიდობის საქმეში, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში შეტანილი დიდი წვლილია.

ტრიბუნაზეა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის თავმჯდომარე გი დე ბუასონი.

ჩვენ, თქვა მან, აქ შევიკრებენით, რათა ყველას გასაგონად განვაცხადოთ, რომ არა გვსურს ომი, რომ გვსურს მშვიდობიანი ცხოვრება და შევძლებთ დავიცვათ იგი. ჩვენ ამას განვუცხადებთ მთელ მსოფლიოს, რათა ამათ, ვისაც განზოახული აქვს ახალი ომის გაჩაღება, იცოდეს, რომ დემოკრატიული ახალგაზრდობა მზადაა თავისი სიცოცხლის ფასად დიაცვას ხალხთა მშვიდობა, თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

გი დე ბუასონის გამოსვლის დროს სტადიონის თავზე გამოჩნდა ასობით მტრედი. როგორც სიმბოლო ახალგაზრდობის მისწრაფებისა მშვიდობისაკენ.

შემდეგ ფესტივალის მონაწილეებს მიესალმნენ: სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის სახელით — ოოსტ გრონანი, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სახელით — ფრანტიშეკ ზუბკა, უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი არპად საგაშინი.

ჩვენს მიწოწყალზე, თქვა საკაშიმმა, პირველს მივესალმებით ჩვენი განმათავისუფლებელი დიდი საბჭოთა კავშირის გმირ ახალგაზრდობას (მქუხარე ტაში, შეძახილები: „გაუმარჯოს სტალინს!“, „გაუმარჯოს კომკავშირს!“). მე უკვეთეს ვერაფერს გეტყვით: მიბაძეთ მათს მაგალითს, მიჰყევით მათ კვალს“.

უნგრეთის პრეზიდენტმა ფესტივალის მონაწილეებს ესურვა უფრო განმტკიცონ მშვიდობისათვის მებრძოლი ახალგაზრდობის ერთიანობა, უფრო განმტკიცონ მშვიდობის ფრონტი, რომელსაც სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი.

პრეზიდიუმის გამოსვლის შემდეგ სტადიონზე გამოჩნდნენ უნგრელი მორბენალნი. მათ საღვარზე მიიღეს მშვიდობის ესტაფეტები, რომლებიც ბუდაპეშტში ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესასწაულზე მოვიდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელს, საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანს ნ. ა. მიხაილოვს. ძან დამსწრეთ გადასცა სსრ კავშირის ახალგაზრდობის მხურვალე სალამი და საუკეთესო ხურვალები. მიხაილოვმა აღნიშნა, რომ ფესტივალი გამოხატავს ახალგაზრდობის მზადყოფნას იბრძოლოს მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და უკეთესი მომავლისათვის. მან თქვა, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა, ისევე როგორც მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი, მუდამ ამ ბრძოლის სათავეში იქნება.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურის გამოსვლის შემდეგ სტადიონზე დიდხანს გრიალებდა ტაში და: გაისმოდა მოსალმების შეძახილები.

შემდეგ გამოვიდნენ ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და უნგრეთის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

ამის შემდეგ ყველა დამსწრენი ადგილებიდან წამოდგნენ და ფესტივალის მონაწილეებთან ერთად იმღერეს დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი.

დასასრულ გიმართა ფეხბურთის ამხანაგური მატჩი უნგრეთის გუნდებს უიბეშტასა და ფერენცვაროშს შორის.

ბელგრადში კვლავ დუმილით უვლიან გვერდს საბჭოთა